ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 ოქტომბერი პარასკევი 2013
№234 (14 150) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალტერნატივა

**ალტერნატივა აუცილებელია. ის ხშირად გამოსავალია, რეცეპტია... ალტერნატივა აუცილებელია, როცა გადაწყვეტილებაა მისაღები. თემურ ქეცბაია საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად რომ ინიშნებოდა, ის უალტერნატივო იყო...**

2




ჟაბა კანკავა (მარცხნივ) ფიორენტინასთან მატჩში

## უიღბლო ქართველები ევროპის ლიგაში

7

ინგლისი

## ჰოჯსონმა სტარიჯი და რუნი დაამატა

ინგლისის ნაკრების თავკაცმა **როი ჰოჯსონმა** მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩერნოგორიასა და პოლონეთთან გასამართი მატჩებისთვის 23-კაციანი სია გამოაქვეყნა. სექტემბრის თამაშებისგან განსხვავებით, „სამ ლომს" **დენიელ სტარიჯი** და **უეინ რუნი** დაემატნენ.

მეკარეები - **ჯო ჰარტი** (მანჩესტერ სიტი), **ფრეიზერ ფორსტერი** (სელტიკი), **ჯონ რადი** (ნორვიჩი);

მცველები - **ლეიტონ ბეინსი, ფილ იაგიელკა** (ორივე - ევერტონი), **გარი კეჰილი, ეშლი კოული** (ორივე - ჩელსი), **ფილ ჯონსი, კრის სმოლინგი** (ორივე - მანჩესტერ იუნაიტედი), **კაილ უოლკერი** (ტოტენჰემი);

ნახევარმცველები - **როს ბარკლი** (ევერტონი), **მაიკლ კერიკი, ტომ კლევერლი** (ორივე - მანჩესტერ იუნაიტედი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული), **ფრენკ ლემპარდი** (ჩელსი), **ჯეიმს მილნერი** (მანჩესტერ სიტი), **ანდროს თაუნსენდი** (ტოტენჰემი), **ჯეკ უილშირი** (არსენალი);

თავდამსხმელები - **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი), **უეინ რუნი, დენი უელბეკი** (ორივე - მანჩესტერ იუნაიტედი), **დენიელ სტარიჯი** (ლივერპული), **რიკი ლამბერტი** (საუთჰემპტონი).

**ლევან ბიბილაშვილი**



ერთხელ პალერმოში. მარცხნიდან: ედინსონ კავანი, მიკელე კანინი, ლევან მჭედლიძე, აბელ ერნანდესი და ხავიერ პასტორე პალერმოს ერთ-ერთ ფანთან ერთად

## ვალტერ ძენგა: გამიხარდება, თუ მჭედლიძე სერია A-ში ითამაშებს

3



საქართველოს ნაკრები და სამწვრთნელო თემა

# ალტერნატივა არსებობს

## ვინ იქნება ქეცბაიას შემდეგ?





**ზოგადად, ალტერნატივა აუცილებელია, ამის გარეშე ყველაფერი ჩლუნგდება და ბლაგვდება. ის ხშირად გამოსავალია, რეცეპტია, რომელსაც შველა და შვება მოაქვს. ალტერნატივა კონკურენციასაც ნიშნავს, კონკურენცია კი, უბრალოდ რომ ვთქვათ, კარგია. ალტერნატივა აუცილებელია, როცა გადაწყვეტილებაა მისაღები. როცა თემურ ქეცბაია ინიშნებოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ის ულტერნატივო იყო, ამ თანამდებობაზე სხვა კანდიდატურა არ განიხილებოდა...**

ჩვენი საფეხბურთო სამყარო, ალბათ, უნდა შეთანხმდეს იმაზე, რომ მწვრთნელის ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. კი ბატონო, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ნაკრებში თუ ქართულ კლუბებში აქაურ მწვრთნელებს უცხოელებზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ, მაგრამ სტატისტიკა დოგმა ვერ იქნება, ის უფრო დამხმარე საშუალებაა. საქართველოს ნაკრებში **თემურ ქეცბაიას** დანიშვნას წინ უძღოდა კამათიც, თუმცა არა მგონია, რომ დამნიშვნელისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა - ქეცბაია მაშინ მაღალრეიტინგული გახლდათ და მორჩა! გადაწყვეტილების მისაღებად ეს საკმარისი იყო...

რა თქმა უნდა, მწვრთნელის რეიტინგი ისე არ იანგარიშება, როგორც პოლიტიკოსის, ვისაც ხმას ელექტორატი აძლევს. მწვრთნელის დანიშვნა, შესაძლოა, იმპერატორული გადაწყვეტილება აღმოჩნდეს და ასეც მოხდა ქეცბაიას შემთხვევაში.

დღეს ნაკრების მწვრთნელ ქეცბაიას მხარდასაჭერად არავინ გამოდის - არც ფეხბურთელი, არც სპეციალისტი, არც ჩინოსანი. ქეცბაიას კრიტიკით კი გამოდიან ფეხბურთელებიც, ჟურნალისტებიც, ზოგი სპეციალისტი თუ მწვრთნელიც, **ლევან კობიაშვილმა** კი ქეცბაიას ნაკრებზე თქვა - ეს ყველაფერი ბლეფიაო.

ქეცბაია მხარდამჭერების გარეშე დარჩა, თუმცა გადადგომას ჯერ არ აპირებს. რატომ უნდა დარჩეს ქეცბაია ნაკრების თავკაცად? იმიტომ, რომ მწვრთნელთა ხშირი ცვლა ზოგადად ცუდია - ამ არგუმენტის გარდა, დარჩა კიდევ სხვა?

რადგან ასეა საქმე, დროა დავფიქრდეთ, რა ალტერნატივა არსებობს ნაკრების „მთავარსარდლის" თანამდებობაზე. რა თქმა უნდა, მწვრთნელის დანიშვნა ჟურნალისტის საქმე არ არის, თუმცა ეროვნული გუნდი ყველასია (თავად ქეცბაიაც ხშირად ამბობს ამას) და ყველას აქვს უფლება, თამამად გამოთქვას არგუმენტირებული მოსაზრება.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი უცხოელთაგან ბევრი იქნება, ქართველთაგან კი ამის შემძლე, ამ ეტაპზე, ალბათ ორია - **კახა ცხადაძე** და **გია გეგუჩაძე**.

ცხადაძეს ზურგს ისიც უმაგრებს, რომ ეროვნული გუნდის კაპიტანი იყო, „თანამეგობრობის" ნაკრებშიც უთამაშია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ცხადაძემ მწვრთნელობა თბილისის „დინამოდან" დაიწყო იმ დროს, როცა „დინამოში" არ იყო დალხენილი სიტუაცია. ასეთ დროს მწვრთნელის ტვირთი კიდევ უფრო მძიმდება. ცხადაძე შეუპოვრად ეზიდებოდა ამ ტვირთს და მოახერხა ის, რომ, როგორც მწვრთნელმა, შექმნა საკუთარი თავი. ცხადაძის ხელში ბევრი კარგი ფეხბურთელი დაწინაურდა, მაგალითად, **გიორგი მერებაშვილი** „დინამოში", **დავით სირაძე** თბილისის „ლოკომოტივში"... ცხადაძის მიერ გაწვრთნილი ბოლნისის „სიონი" კი 2006 წელს სულაც საქართველოს ჩემპიონი გახდა...

თუმცა ცხადაძე უნაკლო მწვრთნელი არ ყოფილა „დინამოში". ფიცხი ხასიათი ის თვისებაა, სპეციალისტს კარგ სამსახურს რომ არ უწევს, მაგრამ ცხადაძემ მაინც მოახერხა კარგი მწვრთნელის იმიჯის შექმნა. ის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად დაინიშნა მაშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციას უმცროსი **ნოდარ ახალკაცი** პრეზიდენტობდა, თუმცა ამ თანამდებობაზე დიდი ხნით არ დარჩენილა - აზერბაიჯანიდან ფინანსურად უკეთესი შეთავაზება მიიღო და იქ წავიდა. ის არ შეუშინდა უცხო ქვეყანაში მუშაობას, გამოწვევა მიიღო და საქმესაც თავი კარგად გაართვა - მის ხელში ბაქოს „ინტერმა" ტიტულები მოიპოვა.

მას გამოწვევების არ ეშინია და დარწმუნებული ვარ, თუ საქართველოს ნაკრების გაწვრთნას შესთავაზებენ, უკან არ დაიხევს. უკვე გამოცდილი მწვრთნელია და ნებისმიერი ორომტრიალისთვის იქნება მზად...

■ ■ ■

**გია გეგუჩაძეს** დიდი ფეხბურთი არ უთამაშია, მაგრამ ეს სულაც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ იყო წარმატებული მწვრთნელი. გეგუჩაძემაც სამწვრთნელო გზა „დინამოდან" დაიწყო მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ. იყო **დავით ყიფიანის** ასისტენტი და ასეთ დიდ ადამიანთან მუშაობა პატარა ამბავი არ არის.

მერე ისე მოხდა, რომ „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების თავკაცად **იოჰან ბოსკამპი** დაინიშნა. ჰოლანდიელის მოსვლა მართლაც ახალი სისხლი იყო მაშინდელ ქართულ ფეხბურთში, რომელიც სამწვრთნელო ნოვაციებისა და შემოქმედების მხრივ ერთ ადგილზე იყო გაჩერებული. გეგუჩაძემ ბოსკამპისგან ბევრი ახალი რამ ისწავლა. ეს ერთი გუნდი იყო. შეიძლება ითქვას, ისინი თანამოაზრეები გახდნენ. ბოსკამპი აქაურობას მალე გაეცალა, გეგუჩაძეს კი უკვე ახალი, უფრო სერიოზული სარბიელი სჭირდებოდა...

დადგა ის დროც, როცა **ბადრი პატარკაციშვილის** „დინამოში" მმართველ დირექტორად **დავით პეტრიაშვილი** დაინიშნა, ვინც ნამდვილად არ იყო გუნდის მაშინდელი დამრიგებლის, **ივო შუშაკის** თანამოაზრე. შუშაკის პოზიციები „დინამოში" თანდათან სუსტდებოდა, ხორვატი თითქოს წურავდა საკუთარ თავს ამ გუნდში. მაშინ გეგუჩაძე „დინამოს" მეორე გუნდში მუშაობდა. 2003-04 წლების სეზონი სრულდებოდა, როცა შუშაკი წავიდა და გუნდი გეგუჩაძემ ჩაიბარა, მაშინ საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" გახდა, გეგუჩაძის „დინამომ" კი თასი აიღო. 2004 წელი, ჯერჯერობით, ერთადერთი შემთხვევაა, როცა ქართული გუნდი ევროტურნირის ჯგუფში გავიდა - „დინამომ" ეს გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მოახერხა.

■ ■ ■

გეგუჩაძე და ცხადაძე - ისინი არ არიან დაცვითი ფეხბურთის მიმდევრები, მათ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე, ისინი იმსახურებენ, რომ ასეთი შანსი მისცენ. ამ წერილში მათი სამწვრთნელო ბიოგრაფიის ყველა დეტალი არ არის მიმოხილული, მაგრამ თუ გეგუჩაძისა და ცხადაძის კანდიდატურები განხილვის თემა გახდება, მათ სამწვრთნელო საქმიანობაში კიდევ ბევრ საინტერესო ნიუანსს აღმოვაჩენთ.

რაც შეეხება **შოთა არველაძეს**, რომლის შესაძლო დანიშვნაზეც ასევე ბევრს ლაპარაკობს ქართულ საფეხბურთო მილეთი, არა მგონია, ამ ეტაპზე ის ნაკრების მწვრთნელი გახდეს. ის უკვე საკმაოდ ძვირად ღირებული სპეციალისტია თურქეთში, სადაც სერიოზული ამოცანების გადასაჭრელად მუშაობს - „ქასიმფაშა" ევროსარბიელზე უნდა გაიყვანოს...

ფეხბურთის ფედერაცია, ალბათ, საბოლოოდ დაფიქრდება ამ ყველაფერზე მაშინ, როცა ეროვნული ნაკრები შესარჩევ ციკლს ჩაამთავრებს (15 ოქტომბერს ესპანეთთან მატჩით). ის არ არის დახურული ორგანიზაცია და, შესაბამისად, რაღაც განცხადება და რეაგირება უნდა გააკეთოს იმაზე, რაც ეროვნულ გუნდში და მის გარშემო ხდება.

ცხადაძე და გეგუჩაძე - ალტერნატივა არსებობს...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი



ჯაბა კანკავა

# ჯაბამანია, ანუ კანკავა ცენტრს არ თმობს

ახლა უკრაინაში ერთგვარი ჯაბამანია შეინიშნება. დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" საყრდენი ნახევარმცველი 11 ტურში სამჯერ მოხვდა ცნობილი გამოცემა „უა-ფუტბოლის" მიერ შერჩეულ, უკრაინის პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებში. შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „დნიპრომ" უშუალო კონკურენტი ოდესის „ჩერნომორეცი" 2:0 დაამარცხა. გუშინ კი ამავე ტურის სიმბოლურში ჯაბა მეორე ინტერნეტგამოცემა - „ფუტბოლბუმმაც" დაასახელა.

„დისკვალიფიკაციის შემდეგ, „დნიპროს" საყრდენი ნახევარმცველი კვლავ გუნდის ერთ-ერთ გმირად გვევლინება. ჯაბამ მოედნის ცენტრში ბრძოლა პირწმინდად მოიგო და კირილ კოვალჩუკსა და ოლექსეი გაის, ფაქტობრივად, მარტო გაუმკლავდა. დიდწილად, სწორედ ჯაბას ბრწყინვალე თამაშის დამსახურება იყო, რომ „ჩერნომორეცმა" მთელი შეხვედრის განმავლობაში მოედნის ცენტრიდან ერთი ხეირიანი შეტევაც ვერ წამოიწყო. ერთადერთი, რაც „მეზღვაურებმა" ცენტრალური ზონიდან მოახერხეს, თამაში „სტანდარტულებით" გაამწვავეს. მაგრამ ასეთია ჯაბა კანკავა - ის არც თავს ზოგავს და არც მეტოქეებს, ხისტია, მაგრამ არა უხეში", - წერს გამოცემა.

მანამდე იყო „ფუტბოლი.უა"-ს შეფასება: „კანკავა შეუმჩნეველი, მაგრამ ძალიან პროდუქტიულია". საკლუბო დონეს რომ თავი დავანებოთ, ჯაბა საქართველოს ნაკრებშიც გამორჩეულად მოტივირებული, ბრძოლისუნარიანი და სასარგებლოა. ესპანეთთან ის ყველაზე ღირსეული იყო და, თითქოს, ხაზს უსვამდა, რომ სახელის მიუხედავად, მეტოქის არ ეშინოდა. საფრანგეთთან კი გუნდში უდავოდ საუკეთესო იყო - **სისოკო** და **გილავოგი** პირწმინდად ჩაკეტა.

ეგ არის, რომ პროდუქტიული, მაგრამ შეუმჩნეველი ფეხბურთელი ხშირად არ ფასობს, ოღონდ, ვისაც ფეხბურთი ესმის, შეუმჩნეველსაც დაინახავს. ამიტომ არის, შრომისმოყვარე და საყრდენ ნახევარმცველებზე შეყვარებულმა უკრაინელებმა რომ დააფასეს კანკავა და „ჯაბამანიის" მეორე ტალღა ააგორეს. პირველი 2005-07 წლებში იყო, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი კიევის „არსენალში" თამაშობდა. მაშინ მასზე **ალექსანდრ ზავაროვს** ამოსდიოდა მზე და მთვარე, მედიაც აღტაცებული იყო...

სანწყენია, რომ საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტანი მსოფლიოს 2014 ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ფინეთთან მატჩში გაძევების გამო ის დისკვალიფიცირებულია...

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# შემადგენლობა ევროშესარჩევისთვის

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას დაიწყებს. მთავარი მწვრთნელის **ნოდარ აკობიას** გადაწყვეტილებით, გუნდი დასკვნით შეკრებას ზუგდიდის „ბაიას" ბაზაზე გაივლის. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა აკობიას რჩეულთა სია გამოაქვეყნა:

მეკარეები - **ოთარ გოშაძე, ბექა ქურდაძე** (ორივე - საბურთალო), **სანდრო ბენდიანიშვილი** (ლოკომოტივი);

მცველები - **რატი კაკიაშვილი, გიორგი აბელაშვილი, ცოტნე ნადარაია, დემურ ჩომახიძე** (ყველა - საბურთალო), **თორნიკე გაფრინდაშვილი, გიორგი ქობულაძე** (ორივე - 35-ე სკოლა), **ვასილ კაციტაძე** (დინამო), **ირაკლი კომახიძე** (მუქურა), **ამირან გოგიაშვილი** (დილა), **ნიკა კევლიშვილი** (ლოკომოტივი);

ნახევარმცველები - **ირაკლი ბიძინაშვილი, ვლადიმერ მამუჩიშვილი** (ორივე - საბურთალო), **გიორგი კიკნაძე, ირაკლი კამლაძე** (ორივე - ლოკომოტივი), **ირაკლი კომახიძე, შერმადინ ართმელაძე** (ორივე - მუქურა), **ანდრო ნემსაძე** (დინამო), **ნიკა ლაშხია** (ზესტაფონი), **გიორგი ბერიძე** (დილა 2), **ნიკა ქორიძე** (რეჯანა, იტალია);

თავდამსხმელები - **გიორგი ჯობავა** (ოსერი, საფრანგეთი), **ბექა მიქელთაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ნივილაშვილი** (საბურთალო), **საბა ცინცქილაძე** (მუქურა).

17-წლამდელები დღეს დასავლეთისკენ აიღებენ გეზს და ზუგდიდამდე „ზესტაფონის" დუბლებთან ტესტ-მატჩს გამართავენ. ნაკრები თბილისში 15 ოქტომბერს დაბრუნდება. 17 ოქტომბრიდან კი იწყება შესარჩევი ეტაპის მატჩები, რომელსაც საქართველოც მასპინძლობს. შეგახსენებთ, რომ XI ჯგუფში ჩვენი მეტოქეები არიან ჰოლანდია, ფარერები და სან მარინო. ელიტრაუნდში ორი გუნდი გადის.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუბუტია და მარცვალაძე საუკეთესოთა შორის

რუსულმა გამოცემა „ევროფუტბოლმა“ იქაური ნაციონალური საფეხბურთო ლიგის (რანგით II ლიგა) უცხოელი ვარსკვლავების სია გამოაქვეყნა. სულ ხუთი ფეხბურთელი დაასახელეს, მათ შორის, ორი ქართველია - სარანსკის „მორდოვიასა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების 27 წლის მცველი აკაკი ხუბუტია და ვლადიკავკაზის „ალანიას“ 29 წლის თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე.


აკაკი ხუბუტია

## აკაკი ხუბუტია

„გასულ სეზონში ხუბუტია ფეხბურთის მოყვარულებს თავი იმით დაამახსოვრა, რომ „ვოლგასთან“ პრინციპულ მატჩში ბურთი ვერ დაამუშავა, რამაც ნიჟნინოვგოროდელებს გოლის გატანის საშუალება მისცა და სარანსკელების ვარდნა და პრემიერლიგიდან დაქვეითება გარდაუვალი აღმოჩნდა. თუმცა ახალი სეზონიდან ხუბუტია, ფაქტობრივად, სარანსკელთა დაცვის შეუცვლელი მოთამაშე გახდა. მან პროფესიული კარიერა 2004 წელს, ბელარუსის „ზვეზდაში“ დაიწყო, შემდეგ ლიტვურ „კაუნასში“ გადავიდა, მაგრამ ბალტიისპირეთში კარიერა რანგით დაბალ ლიგაში დაასრულა. მერე იყო რუმინეთი და თურქეთი, სადაც აკაკიმ რამდენიმე გოლიც გაიტანა და ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებში მოხვედრაც მოახერხა. ქართველ ლეგიონერს სიმშვიდე და პოზიციის შერჩევის უნარი გამოარჩევს. და ეს ეხება არა მარტო მის უშუალო მოვალეობას, ხუბუტია ბედს მეტოქის საჯარიმოშიც ხშირად ეძებს. მან თავის გამოჩენა ახალ სეზონშიც მოახერხა“.

ამას გარდა, ხუბუტია რუსეთის I დივიზიონის XVI ტურში, ამავე დივიზიონის ოფიციალურმა ვებგვერდმა, საუკეთესო მცველად დაასახელა.

„მორდოვია“ ლიდერობს და პრემიერლიგაში დასაბრუნებლად დამაჯერებლად წინ მიიწევს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გუნდის ხელმძღვანელებმა შარშანდელი შემადგენლობა, ფაქტობრივად, სრულად შეინარჩუნეს. ამჟამინდელი „მორდოვიას“ ერთ-ერთი ლიდერი ცენტრალური მცველი აკაკი ხუბუტიაა, რომელიც თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო თავდაჯერებულად გამოიყურება. ქართველი მცველი ბელგოროდის „სალიუტთან“ ბოლო ტურში საკუთარი საჯარიმოს ბატონ-პატრონი იყო. მან საიმედოდ „ჩაკეტა“ ოდესღაც მრისხანე ბოსნიელი თავდამსხმელი მერსუდინ ახმეტოვიჩი და „ბალკანელ იბრაჰიმოვიჩს“ ბურთის მშვიდად მიღების საშუალება არ მისცა. შეიძლება ითქვას, რომ ხუბუტია ამჟამად რუსეთის ნაციონალური საფეხბურთო ლიგის საუკეთესო მცველია“, - წერს გამოცემა.

## ოთარ მარცვალაძე

„ოთარ მარცვალაძე 11 წლისა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში მივიდა. 16 წლისა ისრაელში გადავიდა, სადაც ექვსი თვე თელ-ავივის „ჰაპოელში“ ვარჯიშობდა. ის გუნდში მხოლოდ ემზადებოდა, რადან პატარა ასაკის გამო, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას ვერ ახერხებდა... „ანჟიში“ ყოველ მეორე შეხვედრაში გაჰქონდა გოლები, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“ კი მისი შედეგიანობა საშუალოდ მატჩში 0,6 გოლს შეადგენდა. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი „კრასნოდარში“ გადავიდა, მაგრამ იქ საქმე ვერ აეწყო. „ალანიაში“ მარცვალაძე გაცილებით უკეთ ათამაშდა. ორივე გაზაევს ნიჭიერი თავდამსხმელის იმედი აქვს. ჯერ მათი მოლოდინი სრულად ვერ გაამართლა - 2 გოლი 5 თამაშში ბევრი არ არის, მაგრამ ამის მიუხედავად, მწვრთნელებს მარცვალაძის ნდობა არ დაუკარგავთ“.

ოთარ მარცვალაძე „ალანიის“ გულშემატკივრებმაც აღიარეს. ახლახან დასრულებული გამოკითხვის მიზანი სექტემბრის თვეში გუნდის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენა გახლდათ. პირველ ადგილზე **მიხეილ ბაკაევი** გავიდა (ხმების 22%). მარცვალაძე მას მცირედ ჩამორჩა (19%), მესამეზე კი „ალანიას“ კაპიტანი **გიორგი გაბულოვია** (15%).

**მერაბ მამულაშვილი**


ოთარ მარცვალაძე


მარცხნიდან: ედინსონ კავანი, მიკელე კანინი, ლევან მჭედლიძე, აბელ ერნანდესი და ხავიერ პასტორე პალერმოს ერთ-ერთ ფანთან ერთად

### ვალტერ ძენგა:

# მოხარული ვიქნები, თუ მჭედლიძე სერია A-ში ითამაშებს

იტალიის ნაკრების წარსულში ცნობილი გოლკიპერი **ვალტერ ძენგა** 2009/10 წლების სეზონში „პალერმოს“ წვრთნიდა, სადაც იმ დროს **ლევან მჭედლიძე** თამაშობდა.

ახლახან ძენგამ ინტერვიუ მისცა „პალერმო 24“-ს, გამოცემამ ამ ინტერვიუს შემდეგი სათაური დაარქვა: „ძამპარინიმ დრო არ მომცა, ერნანდესს და მჭედლიძეს პროფესიონალიზმის პრობლემა ჰქონდათ“.

გთავაზობთ ინტერვიუს ნაწილს, სადაც იტალიელი სპეციალისტი ქართველზე საუბრობს

**- რას იტყვით აბელ ერნანდესზე?**

- სერია A-ში პირველი გოლი მან ჩემი მწვრთნელობისას გაიტანა. „პალერმოს“ ორი ტალანტი ჰყავდა შეტევაში: აბელ ერნანდესი და ლევან მჭედლიძე. მაგრამ ყველაფრის განმსაზღვრელი პროფესიონალიზმია. ყველა რომ ნამდვილი პროფესიონალი იყოს, მაშინ ბუფონი ფენომენი იქნებოდა.

**- მაგრამ ამ ბიჭების მხარეს დროა, ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან...**

- დიახ ერნანდესის შემთხვევაში ასეა, მაგრამ მჭედლიძე დაიკარგა. არადა, ისეთი მონაცემები ჰქონდა, რომ რეალურად შეეძლო მაღალ დონეზე თამაში.

**- ქართველმა შეიძლება კარიერა „პარმაში“ გააგრძელოს...**

- მე ბედნიერი ვიქნები თუ მას სერია A-ში ვიხილავ. იმიტომ, რომ მას აქვს ამ ლიგაში თამაშის მონაცემები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### მათე ვაწაძე:

# ისიც მიხარია, რომ თამაში და სრულყოფილი ვარჯიში შემიძლია

## ქართველი ფორვარდი დანიელებს 5 მილიონი კრონი დასჯდომიათ

დანიურ მედიაში („ბოლდი“, morethanaclub.dk) „ორჰუსის“ ქართველი ლეგიონერის, **მათე ვაწაძის** შესახებ მცირე სტატია გამოქვეყნდა.

„მათე ვაწაძე კვლავაც არ არის წარმატებული „ორჰუსის“ შემადგენლობაში. მისგან კლუბის ფანები გაცილებით მეტს ელოდნენ. ეს დიდწილად მისი ტრავმიანობის ბრალია, ცუდი დრო ქართველისთვის მაშინ დაიწყო, როცა კოჭი მოიტეხა. მათე უკვე თამაშობს და ცდილობს კლუბისთვის სარგებლიანი გახდეს:

„მე ბედნიერი ვარ, რადგან დიდი ხანი გამიცდა ახლა კი დავბრუნდი და თამაში და სრულყოფილი ვარჯიში შემიძლია. რა თქმა უნდა, მართლაც ცუდ ფორმაში ვარ. ცოტა მეტი დრო და მეტი მომზადება მჭირდება, რომ დავუბრუნდე სასურველ კონდიციებს“, - აცხადებს 24 წლის ვაწაძე.

ამასობაში „ორჰუსის“ დირექტორი იან კრისტიანსენი გვიმხელს, რომ ქართველი ფორვარდი გუნდს საკმაოდ ძვირი დაუჯდა: „მასში ჩვენ დაახლოებით 5 მილიონი კრონი გადავიხადეთ. ჩვენ მაშინ გადავწყვიტეთ ინვესტიცია ნიჭიერ ფეხბურთელში ჩაგვედო.“

მათე ვაწაძემ ორი კვირის წინ ჰეთთრიკი შეასრულა გუნდის სარეზერვო შემადგენლობაში, „სტიერნენთან“ კი 2 გოლი გაიტანა“ - წერს morethanaclub.dk.

გეტყვით, რომ 5 მილიონი კრონი დაახლოებით 900 ათასი ამერიკული დოლარია. ტრავმის მოშუშების მერე, მათე დანიის ჩემპიონატში 22 სექტემბერს გამოჩნდა, თუმცა მას ჯერ მხოლოდ 42 წუთი აქვს ჯამში ნათამაშები.

შეგახსენებთ, რომ ქართველი ფორვარდი გორის „დილადან“ „ორჰუსში“ 2012 წელს გადავიდა და პირველ სეზონში, რომელიც სანახევროდ გაუცდა, 13 მატჩში 3 გოლი გაიტანა. მანამდე მათეს თბილისის „დინამოში“ და „ვოლგაში“ უთამაშია.

„ორჰუსი“, რომელშიც **დავით სხირტლაძეც** ასპარეზობს, 14 ქულით მე-5 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ოცნებების ასრულება

## ებრალიძე: მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა ნაკრებში თამაშის შანსი მომეცემა

გუშინ „ჟილ ვისენტეს“ ქართველ ახალწვეულ **ავთანდილ ებრალიძეს** 22 წელი შეუსრულდა, იუბილეზე გამოცემა „მაის ფუტებოლმა“ (რაც ქართულად „ფეხბურთზე მეტს“ ნიშნავს) ჩვენებურს, რომელმაც ბოლო ტურში ძალიან კარგი საგოლე პასით გამოიჩინა თავი, სპეციალური სტატია უძღვნა.

სტატიის ავტორი **ბრუნო ჟოზე ფერეირა** მოგვითხრობს, „ქართველ ბიჭზე, რომელიც მშობლებთან ერთად წავიდა ემიგრაციაში პორტუგალიაში და ახლა უმაღლეს დივიზიონში თამაშობს“.

„მას ორი კვირის წინათ დებიუტი „დრაგაუზე“ ჰქონდა. ავთო ანუ ავთანდილ ებრალიძე საქართველოდანაა. ის ზუსტად დღეს, 22 წლის წინ დაიბადა, 16 წლისა კი მშობლებთან ერთად პორტუგალიაში მოხვდა.

„მამა ჩამოვიდა აქ და ლაგოსში დაიწყო მუშაობა. შემდეგ მეც ჩამოვედი დედასთან ერთად. თამაში ლაგოსის ახალგაზრდულ გუნდში დავიწყე“, - ამბობს ავთო.

„პორტუგალიაში თავს სულ უფრო გაშინაურებულად ვგრძნობ.“ - ავთომ ნელ-ნელა აიწყო კარიერა „ესპერანშა ლაგოსის“ შემდეგ ის „ჟუვენტუდ ევორაში“ გადავიდა. ამის შემდგომი ნაბიჯი კარიერაში იყო მეორე დივიზიონის „ოლივეირენშე“. წლეულს კი უკვე „ჟილ ვისენტეშია“.

„ყოველთვის მინდოდა უმაღლეს ლიგაში თამაში, ამაზე ვოცნებობდი. ვიცი, რომ აქ თამაში ძალიან დიდ შრომას მოითხოვს. „დრაგაუზე“ ეს ოცნება ამიხდა, განუმეორებელი დღე იყო და შეგრძნება. ატმოსფერო მართლაც ფანტასტიკური იყო“, - ჰყვება „პორტუსთან“ თამაშის პერიპეტიებზე ქართველი.

## ნაკრებზე ოცნება

ავთო სასიამოვნოდ მოსაუბრე, თუმცა სიტყვაძუნწია. მან კარგად იცის, რა უნდა ფეხბურთისგან:

„რაც შეიძლება მეტი მინდა ვითამაშო. მინდა გუნდს დავეხმარო, გოლებით, საგოლე პასებით, რომ „ჟილ ვისენტე“ ელიტაში თამაშობდეს. არ მაქვს იმის ილუზია, რომ მუდმივად სასტარტოში ვიქნები, თუმცა შევეცდები, ყოველი შანსი გამოვიყენო და ჩემი შესაძლებლობები ვაჩვენო ყველას“.


ავთანდილ ებრალიძე (მარჯვნივ)

„დრაგაუზე“ დებიუტის შემდეგ ავთო სამი თამაშია, სასტარტოშია. მას უკვე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე ოცნება დაუწყია:

„მოუთმენლად დაველოდები იმ დღეს, როცა შეიძლება მეც მომეცეს ნაკრებში თამაშის შანსი. მე მჯერა ამის“.

კვირას „ჟილ ვისენტე“ „ფერეირას“ მასპინძლობს, ამ შეხვედრას ლაგოსიდან ავთოს მშობლები დაესწრებიან, მათი მგზავრობა კი „ჟილ ვისენტეს“ პრეზიდენტმა **ანტონიო ფიუზამ** დააფინანსა“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული ტრანსფერები

# გია გრიგალავა 2 მილიონად გაიყიდა?...

## ანჟი გულუხვობას ახლა ინანებს

რუსულმა ინტერნეტგამოცემა „ევრო ფუტბოლმა“ მახაჩყალის „ანჟის“ მიერ ბოლო წლებში ტრანსფერებზე დახარჯული თანხები დათვალა და აღმოჩნდა, რომ 2011-13 წლებში გუნდმა მოთამაშეების შესყიდვაზე 242.6 მილიონი ევრო დახარჯა. ამ პერიოდში „ანჟიმ“ მთელი მსოფლიოს ყურადღება იმით მიიქცია, რომ კლუბის მეპატრონე **სულეიმან ქარიმოვმა** ორი მეგავარსკვლავი გადაიბირა: „კორინთიანსიდან“ **რობერტო კარლოსი**, „ინტერიდან“ კი **სამუელ ეტოო**. მათ გარდა, „ანჟიმ“ „ჩელსისგან“ **იური ჟირკოვის** ტრანსფერი გამოისყიდა, „პსვ ეინდჰოვენიდან“ - უნგრელი **ბალაშ ჯუჯაკის** და ასე შემდეგ.

ამ ინფორმაციებში ჩვენთვის საინტერესო ამბებიც აღმოვაჩინეთ. თურმე, 2011 წელს მახაჩყალის „ანჟიმ“ თბილისის „ვიტ ჯორჯიიდან“ **ირაკლი კლიმიაშვილის** ტრანსფერი 100 ათას ევროდ გამოისყიდა. იმავე 2011 წელს კლიმიაშვილი ტაშკენტის „ფახთაქორში“ იჯარით გაუშვეს, თუმცა დაღესტნურ კლუბს ამაში არაფერი მიუღია. ასევე მოხდა შარშან, როცა „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი ნახევარმცველი „ანჟიდან“ წამოვიდა და გორის „დილაში“ ჩაირიცხა.

იყო დრო, „ანჟი“ გულუხვად იხდიდა ფულს და უკან არაფერს ითხოვდა. ასე მოხდა კიდევ რამდენიმე ქართველის შემთხვევაში - 2012 წელს **ზურაბ არზიანი** თბილისის „დინამოში“ არენდით რომ გაუშვეს და შემდეგ, როცა გორის „დილაში“ გადავიდა. „ანჟიდან“ ასევე უსასყიდლოდ წამოვიდა **ოთარ ხიზანეიშვილიც** და არც **ნუკრი რევიშვილისთვის** შეუშლიათ ხელი „კრასნოდარში“ ტრანსფერისას, თან ფულიც არ მოუთხოვიათ.

ალბათ, დაღესტნელები ახლა ინანებენ, მოთამაშეთა ბითუმად გაშვების დროს ქართველ თავდამსხმელ **გიორგი ილურიძეს** იოლად რომ შეელივნენ - ახლახან ხორვატიაში გადასული 20 წლის ქართველის ტრანსფერს ფასი ემატება...



გია გრიგალავა

და ბოლოს - მცირე ხნის წინათ, გერმანული სამენეჯერო ინტერნეტსააგენტო „ტრანსფერმარკტის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვწერდით, რომ სამარის „კრილია სოვეტოვმა“ **გია გრიგალავა** „ანჟიში“ 1.760 ათას ევროდ გაყიდა. თუმცა, „ევროფუტბოლი“ ოდნავ განსხვავებულ ციფრს ასახელებს - რუსული გამოცემის ცნობით, გარიგების თანხა ოდნავ მეტია - 2 მილიონი ევრო.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ქართველი ფეხბურთელის ერთ-ერთი ძვირად ღირებული ტრანსფერია. ახლა კი გთავაზობთ ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერების ტოპათეულს:

**მერაბ მამულაშვილი**

| ფეხბურთელი | წელი | საიდან | სად | თანხა ($) |
|---|---|---|---|---|
| კახა კალაძე | 2001 | დინამო კ | მილანი | 16 მლნ |
| გიორგი ქინქლაძე | 1998 | სიტი | აიაქსი | 8 მლნ |
| გიორგი დემეტრაძე | 2000 | დინამო კ | სოსიედადი | 4.5 მლნ |
| ალექო ამისულაშვილი | 2011 | ქაისერი | კრასნოდარი | 3.6 მლნ |
| გიორგი ქინქლაძე | 1995 | დინამო თბ | სიტი | 3.2 მლნ |
| შოთა არველაძე | 2001 | აიაქსი | რეინჯერსი | 3 მლნ |
| უჩა ლობჟანიძე | 2010 | ზესტაფონი | დნიპრო | 2.6 მლნ |
| გია გრიგალავა | 2013 | კრილია | ანჟი | 2.6 მლნ |
| გოგა გახოკიძე | 1998 | ალანია | პსვ | 2 მლნ |
| თემურ ქეცბაია | 2000 | ნიუკასლი | ვულვზი | 1.44 მლნ |
| ბექა გოცირიძე | 2009 | ზესტაფონი | დნიპრო | 1.30 მლნ |
| მიხეილ აშვეთია | 2001 | ტორპედო ქ | კოპენჰაგენი | 1 მლნ |
| მალხაზ ასათიანი | 2003 | ტორპედო ქ | ლოკომოტივი მ | 1 მლნ |

ქართველები შორეულ აღმოსავლეთში

# გოგუა, ლენინი და დამოუკიდებელი კულინარია



გოგიტა გოგუა

ხაბაროვსკის „სკა ენერგიას“ რთულ პირობებში რომ უწევს არსებობა, არახალია. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ გუნდი ყველა გასვლით შეხვედრას რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიის გავლით ატარებს. ეს კიდევ არაფერი - ეტყობა, ხაბაროვსკში ჯერ კიდევ კომუნიზმია: სტადიონი, სადაც გუნდი თამაშობს, დიდი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს ატარებს...

ამ გუნდის ამბები იმიტომ გვაინტერესებს, რომ იქ ორი ჩვენებური თამაშობს - მარცხენა მცველი **გიორგი ნავალოვსკი** და ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა**. „სკა ენერგიის“ გენერალური დირექტორის **სერგეი ფელდმანის** განცხადებით, კლუბს უამრავი მოუგვარებელი პრობლემა აქვს და ისეთები თქვა, მსგავსი საქართველოშიც რომ არ ხდება:

*„კლუბის ხელმძღვანელები, ბუღალტერი, ტექნიკური პერსონალი სახლიდან მუშაობენ. ეს მოუხერხებელია, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსვლას ვახერხებთ და ყველა საჭირო დოკუმენტს დროულად ვაფორმებთ. სხვათა შორის, აქ გუნდს არ აქვს კვება. ამიტომ, მოთამაშეებთან შევთანხმდით, რომ საკითხს თავად მოაგვარებდნენ. ზოგს საჭმელს მეუღლე უკეთებს, ზოგს მეგობარი გოგონა, გოგიტა გოგუა კი, მარტო ცხოვრობს და იძულებულია, საჭმელი თავად მოამზადოს“.*

ეტყობა, ამიტომაც იყო, რუსულ ინტერნეტგაზეთ „ვანდივიზიონთან“ ინტერვიუში გოგუამ ხაბაროვსკში ფეხბურთისადმი დამოკიდებულება რომ დაიწუნა.

*„ჩვენ ახლა „ავკრიფეთ“ და ლიდერებში დამკვიდრებას ვცდილობთ. საკუთარ სტადიონზე ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვთამაშობთ და ეს ჩვენთვის დიდი პლუსია, რადგან სხვა გუნდები შეუჩვევლები არიან. თუმცა ხაბაროვსკში ფეხბურთისადმი დამოკიდებულებას სამიანით თუ შევაფასებ. გყავდეს ასეთი კარგი გუნდი და ამავე დროს, არ გქონდეს ბუნებრივი საფარი, ჩემთვის ნონსენსია“*, - ამბობს გოგუა, რომელმაც კულინარიულ პრობლემებზე ლაპარაკს ეტყობა თავი აარიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა. V ტური

### A ზონა

**ჩხერიმელა-გაგრა 0:0**

30.09. ხარაგაული. სოსო აბაშიძე. 100 მაყურებელი

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, გ. ჯიმშელეიშვილი, კ. უკუბილე, დ. კოსტავა, ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე, გ. ცუცქირიძე (77. კ. ოკონკვო), ზ. ქურდობაძე, ბ. შარვაძე.

მწვრთნელი: ე. ჯიმშელეიშვილი

გაგრა: გ. ბეგაშვილი, ც. ხარაბაძე, კ. ზარნაძე, ლ. კალანდაძე, გ. ფალავანდიშვილი, ნ. ჭკუასელი, თ. ჟიშკარიანი, ვ. ჭაბუკიანი, რ. ცაცკრიალაშვილი (60. თ. ფურცელაძე), ა. ოვონიკოკო, ზ. ქარდავა (54. ბ. ქარდავა).

*სათადარიგოები: გ. დობორჯგინიძე, ა. გომელაური, ა. მუსელიანი, რ. კაკუბავა, თ. მოსიაშვილი*

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: ი. ჩუბინიძე; ა. ოვონიკოკო, ზ. ქარდავა

არბიტრი: თ. ხუჭუა

**საპოვნელა-შუქურა 1:0**

30.09. თერჯოლა. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 იაკობ დეისაძე (66)

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, დ. ბაქრაძე, ზ. ენდელაძე, ს. შულაძე, ს. ცქიფურიშვილი (82. მ. კოპალიანი), ვ. ჭრელაშვილი, ნ. სირაძე, იაგო დეისაძე (70. ლ. შავგულიძე), ზ. აბულაძე (46. თ. დარსაველიძე), იაკობ დეისაძე.

*სათადარიგოები: ა. ბუცხრიკიძე, დ. ხუჯაძე, ვ. კახეთელიძე, ნ. ხუჯაძე*

მწვრთნელი: მ. გეწაძე

შუქურა: თ. კაკალაძე, ზ. ტულუში, ა. ბრაჭული, ვ. შეროზია, ა. ბაჯელიძე, შ. ართმელაძე (62. ნ. მაჭავარიანი), ლ. ელიზბარაშვილი, გ. ჩელებაძე, ზ. მალანია (80. მ. კოპალიანი), მ. კაკალაძე, ი. ტაკიძე.

*სათადარიგოები: დ. გაბელია, გ. გერმოზაშვილი, მ. ქათამაძე, მ. ფუტკარაძე, გ. მამულაძე*

მწვრთნელი: ვ. ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: თ. დარსაველიძე; ზ. ტულუში

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**მეშახტე-ადელი 5:2**

30.09. ტყიბული. ვ. ბოჭორიშვილი. 300 მაყურებელი

1:0 ი. კილაძე (11), 2:0 თ. სანიკიძე (16), 3:0 თ. სანიკიძე (45), 3:1 ლ. ცხადაძე (49), 4:1 გ. ჟღენტი (75), 5:1 ი. კილაძე (77), 5:2 ლ. ბერუაშვილი (79-პენ)

მეშახტე: დ. მემარნიშვილი, გ. გვენეტაძე, ნ. ხარაბაძე (84. დ. სოფრომაძე), თ. გოგიჩაძე, ლ. ჯანგიძე, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, თ. სანიკიძე, ბ. კოლუაშვილი (56. ა. სახელაშვილი), მ. ჟღენტი, ო. გიორგობიანი (46. ლ. გაბრიჭიძე).

*სათადარიგოები: ა. ქაშაკაშვილი, ბ. ჯიშიაშვილი, გ. გიგაური, გ. დიაკონიძე*

მწვრთნელი: დ. რუხაძე

ადელი: ნ. ნაროზაშვილი, გ. ბერაძე, ლ. ჯინჭარაძე, გ. ცაბუტაშვილი, პ. ტურე (22. ბ. ბურჯანაძე), ვ. ლერუა, ლ. ცხადაძე, ლ. მაჭარაშვილი (53. კ. ჩადუნელი), ლ. ბერუაშვილი, ნ. ლებანიძე (56. ვ. ტყებუჩავა), თ. ყურფანაშვილი.

*სათადარიგო: ნ. ხორნაული*

მწვრთნელი: ს. ნასუაშვილი

არბიტრი: ო. ხეცაძე

**კახეთი-იმერეთი 0:1**

30.09. თელავი. გივი ჩოხელი. 100 მაყურებელი

0:1 ნ. ჩიხლაძე (7)

კახეთი: გ. აბულაშვილი, ზ. ვარდუაშვილი, გ. ლომიძე, ლ. მაჭარაშვილი, თ. ვარდუაშვილი, ვ. მურადაშვილი, გ. ნონიაშვილი, ამ. ნატროშვილი (82. ი. ხუციშვილი), გ. ჩიტალაძე, ჯ. ცისკარაული (67. ს. ბინკინაშვილი), გ. ტყეშელაშვილი.

*სათადარიგოები: კ. ბაგალიშვილი, ხ. დავითაშვილი, ზ. პოპიაშვილი*

მწვრთნელი: რ. თორლაშვილი

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტყეშელაშვილი, დ. კუხალაშვილი (88. ზ. სადილიანი), ჯ. კილაძე, ბ. ჩხეტიანი (90. დ. გოდერიძე), ნ. ჩიხლაძე (80. დ. სულაბერიძე), გ. აშვეთია, გ. მანაგაძე.

*სათადარიგოები: გ. ბერძენაძე, თ. ვაშაკიძე, დ. ხაბურძანია, ს. ჯალაღანია*

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: გ. ჩიტალაძე, თ. ვარდუაშვილი, ლ. მაჭარაშვილი; ბ. ჩხეტიანი

არბიტრი: ბ. ნინუა

**ალგეთი-დინამო 2 (თბ) 1:0**

01.10. თბილისი. ტორპედო-ავაზა. 100 მაყურებელი

1:0 ი. სვანიძე (53)

ალგეთი: ლ. ეზიეშვილი, რ. კიკალიშვილი, ი. ალასანია, გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი (46. მ. კობერიძე), ე. ანიგბო, ვ. ნემსაძე (85. მ. მახათაძე), ი. ჯოჯიშვილი, ზ. ტიელიძე, ი. სვანიძე, ა. ონუაკლისი.

*სათადარიგოები: ბ. ლაბუჩიძე, ჯ. სულაქველიძე, მ. ძიძიგური, რ. კორღალიძე, თ. ბახტურიძე*

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

დინამო 2: ლ. ტყეშელაშვილი, გ. სამხარაძე, ს. გურეშიძე, ლ. მახარობლიძე, ო. კაკაბაძე, გ. ლობჟანიძე (62. ბ. ზივზივაძე), ი. ლექვთაძე, ბ. რუხაძე (46. გ. ოთარიშვილი), ჭ. ჭეჭელაშვილი, ს. ლობჟანიძე (73. მ. ჯიშკარიანი), ვ. მატიაშვილი.

*სათადარიგოები: ლ. შერგელაშვილი, თ. კიტოვანი, ტ. ხაინდრავა*

მწვრთნელი: ვ. მაისურაძე

გაფრთხილება: ზ. ტიელიძე, გ. ჭოველიძე, ი. სვანიძე; ს. გურეშიძე, ბ. მახარობლიძე, ლ. ტყეშელაშვილი

გაძევება: ს. გურეშიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**მერცხალი-სქური 1:2**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეშახტე | 5 | 4 | 1 | 0 | 13-3 | 13 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 4 | 4 | 0 | 0 | 11-1 | 12 |
| 3. ალგეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-0 | 12 |
| 4. საპოვნელა | 4 | 3 | 0 | 1 | 5-1 | 9 |
| 5. გაგრა | 5 | 2 | 3 | 0 | 10-5 | 9 |
| 6. შუქურა | 4 | 2 | 1 | 1 | 11-6 | 7 |
| 7. ჩხერიმელა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 7 |
| 8. სქური | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 9. დინამო 2 (თბ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 10. იმერეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-9 | 4 |
| 11. კახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 3 |
| 12. მერცხალი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-14 | 0 |
| 13. ადელი | 5 | 0 | 0 | 5 | 3-17 | 0 |

**მომდევნო ტური**

**6 ოქტომბერი**

დინამო 2 (თბ)-კოლხეთი (ფ)

**7 ოქტომბერი**

გაგრა-სქური
იმერეთი-მერცხალი
ადელი-კახეთი
შუქურა-ალგეთი
ჩხერიმელა-საპოვნელა

### B ზონა

**სტუ-ლოკომოტივი 1:2**

01.10. თბილისი. შატილი. 150 მაყურებელი

0:1 გ. ბაქრაძე (53), 0:2 გ. ბაქრაძე (68), 1:2 ო. გაგნიძე (90)

სტუ: ა. ბილიხოძე, ლ. საბაძე, ნ. ბინკინაშვილი (82. ნ. მაღრაძე), ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ჩიკვაიძე (75. გ. არახამია), გ. ჯიშკარიანი, ო. გაგნიძე, ი. გოგატიშვილი, კ. კახაბრიშვილი (65. გ. თვალავაძე), ლ. ჯიქიძე.

*სათადარიგოები: გ. ბაკაშვილი, ნ. გოგიშვილი, რ. მამფორია*

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. გურეშიძე, გ. მაკარაშვილი, ლ. კვარაცხელია (62. გ. ლვინაშვილი), დ. ცნობილაძე, დ. მიქავა, გ. ბაქრაძე, ნ. ნიკვაშვილი. გ. დუმბაძე (56. ნ. წივწივაძე), ლ. ზარანდია, ბ. ბახტაძე (24. ს. ბენდიანიშვილი).

*სათადარიგოები: გ. კიკნაძე, ნ. კეველიშვლი, გ. ლუკავა, ზ. ჯალაღანია*

მწვრთნელი: ბ. ცეცაძე

გაფრთხილება: ი. გოგატიშვილი, გ. ჩიკვაიძე, ნ. ბინკინაშვილი; დ. ცნობილაძე, ლ. ზარანდია, ნ. წივწივაძე

გაძევება: ბ. საჯაია

არბიტრი: გ. ავაზაშვილი

**სამგურალი-საბურთალო 5:2**

01.10. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 200 მაყურებელი

0:1 გ. მარგველაშვილი (11), 1:1 ლ. ყიფიანი (35), 2:1 გ. ამბროლაძე (38), 3:1 ლ. ყიფიანი (39), 3:2 გ. ხორხელი (66), 4:2 გ. ბუხაიძე (83), 5:2 ლ. ყიფიანი (88)

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ბ. ბიბილაშვილი (46. უ. ბანძელაძე), ლ. ხაჭაპურიძე, ზ. სალინაძე, ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე, ლ. ყიფიანი (89. თ. ბრეგვაძე), გ. ბუხაიძე, ა. ფანცხავა (50. ზ. ჩხეტიანი), გ. თევდორაძე.

*სათადარიგოები: გ. ხარაბაძე, ხ. უგრეხელიძე, ლ. გორდეზიანი, მ. ჩხარტიშვილი*

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

საბურთალო: ო. გოშაძე, გ. მარგველაშვილი, ჯ. ტაბიძე, ი. ბეროშვილი, ზ. მენთეშაშვილი (15. ლ. ბლიაძე), გ. თევზაძე (55. გ. ხორხელი), რ. ბარამიძე (55. ა. ვიანე), ვ. მამუჩაშვილი, ი. ბიძინაშვილი, გ. წივილაშვილი, რ. გოცირიძე.

*სათადარიგოები: დ. ჩომახიძე, გ. თვარაძე, ბ. ქურდაძე, გ. ხარაიშვილი*

მწვრთნელი: თ. შალამბერიძე

გაფრთხილება: ა. ფანცხავა, ზ. ჩხეტიანი; გ. თევზაძე, ლ. ბლიაძე, გ. მარგველაშვილი, ჯ. ტაბიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ბეთლემი-კოლხეთი (ხ) 1:2**

01.10. ქედა. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 ო. ფიფია (11), 0:2 თ. ღლონტი (36), 1:2 ბ. ჯუგაშვილი (45)

ბეთლემი: ა. მაქაცარია, ლ. ნინიკაშვილი (46. ი. ბოლქვაძე), რ. ქობულაძე, ა. ფარტენაძე, ი. ნაჭყებია, ლ. ქანთარია, თ. ჩადუნელი, ე. ერქომაიშვილი, ბ. ჯუგაშვილი, გ. კახიანი (80. ი. ბარამიძე), ბ. კახიძე.

*სათადარიგოები: გ. ქობალია, გ. ნათენაძე, ი. ფუტკარაძე, ჯ. გორგაძე, მ. ბერიძე*

მწვრთნელი: ე. იმნაძე

კოლხეთი (ხ): ლ. ჭურღულია, ო. ფიფია, დ. ჭითანავა, ლ. გოგენია, ლ. ვართაგავა (73. კ. გოგენია), ც. ბუკია, პ. გაბრავა (67. გ. ლომაია), ლ. მეფიშვილი, გ. პაჭკორია, თ. ღლონტი (63. რ. ცობეხია), ი. გერგაია.

*სათადარიგოები: გ. ბუცხრიკიძე, ლ. ქაშიბაძე, გ. თევზაძე, ზ. გელაშვილი*

მწვრთნელი: ლ. ნოდია

გაფრთხილება: ი. ნაჭყებია, რ. ქობულაძე, ა. მაქაცარია, ბ. ჯუგაშვილი, ბ. კახიძე, ი. ბოლქვაძე; ლ. ვართაგავა, თ. ღლონტი, ი. გერგაია

გაძევება: ლ. ჭურღულია

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**მაჭახელა-დილა 2 4:0**

01.10. ხელვაჩაური. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 ა. ლაბაძე (29), 2:0 ი. კუტალია (31), 3:0 ა. ლორია (83), 4:0 ა. ლაბაძე (87)

მაჭახელა: შ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, ლ. რამიშვილი. გ. ფალავანდიშვილი, ლ. ხოხონიშვილი, ა. ლაბაძე (88. ი. ლოლობერიძე), ნ. შონია, ა. ლორია, გ. ჩხიკვიშვილი, ი. კუტალია (53. მ. დავითაძე), დ. დოლიძე (59. შ. დუმბაძე).

*სათადარიგოები: გ. ქოქოლაძე, გ. რომანაძე, ლ. კალანდაძე, ზ. ანანიძე*

მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

დილა 2: თ. ბექაური (57. გ. გაფრინდაშვილი), ს. ცაბუტაშვილი, კ. ღალანიძე, ც. ქებურია (65. გ. კვარაცხელია), გ. კაშია, კ. მელაშვილი, ი. კერძევაძე (82. ნ. გაბელია), გ. ბერიძე.

*სათადარიგო: გ. ჯაყელი*

მწვრთნელი: გ. დოლიძე

გაფრთხილება: გ. ჩხიკვიშვილი, ა. ლორია, ა. ლაბაძე, შ. დუმბაძე, ლ. რამიშვილი; თ. ბექაური, გ. ბერიძე

არბიტრი: დ. სანოძე

**ბახმარო-სამტრედია 0:0**

01.10. ჩოხატაური. ბორის პაიჭაძე. 500 მაყურებელი

ბახმარო: გ. კუჭავა, დ. ჩაჩუა, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე, დ. სიხარულიძე, გ. შათირიშვილი (81. შ. გიორგაძე), გ. ჟღენტი, ა. შონია, ლ. ნაკაიძე, მ. გიორგაძე (71. ლ. თენაძე), გ. ფალავა (55. ხ. დიდია).

*სათადარიგოები: კ. კალანდაძე, ლ. ძნელაძე, მ. ახობაძე*

მწვრთნელი: ბ. გიორგაძე

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, თ. კაკუშაძე, გ. მემარნიშვილი, მ. ჟვანია, ბ. გედენიძე, თ. კიკაბიძე, ლ. ბაკურაძე, გ. გურეშიძე (73. ი. გამრეკლიძე), ლ. ჩალაძე, გ. ერისთავი (86. გ. კიკნაძე), ა. ბაგაშვილი.

*სათადარიგოები: გ. ბ. თურმანიძე, გ. ბოხუა, გ. გოგიტიძე, გ. ხვედელიძე. ნ. ბანძავა*

მწვრთნელი: უ. სოსიაშვილი

გაფრთხილება: ა. შონია, გ. კუჭავა; ლ. ბაკურაძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**ჭიათურა-სასკო 2:1**

**დინამო (ბთ)-სულორი 2:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 5 | 4 | 1 | 0 | 6-1 | 13 |
| 2. მაჭახელა | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| 3. ჭიათურა | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 4. დინამო (ბთ) | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| 5. საბურთალო | 5 | 3 | 0 | 2 | 9-7 | 9 |
| 6. ს.ტ.უ. | 5 | 2 | 1 | 2 | 10-7 | 7 |
| 7. სამგურალი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 8. ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 10. ბეთლემი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 11. სასკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 12. დილა 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 5-13 | 4 |
| 13. ბახმარო | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |
| 14. სულორი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-11 | 1 |

**მომდევნო ტური**

**8 ოქტომბერი**

ლოკომოტივი-სასკო
სამტრედია-ჭიათურა
დილა 2-ბახმარო
კოლხეთი (ხ)-მაჭახელა
სულორი-ბეთლემი
საბურთალო-დინამო (ბთ)
სტუ-სამგურალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ოთხშაბათის მატჩები

# ეს იუვე ცოტა ვერაა...

## ბებერმა ქალბატონმა საქმე ტრადიციულად გაირთულა

**„იუვენტუსმა“** ვერც „გალათასარაის“ მოუგო და ორი ტურის შემდეგ ორი ქულა აქვს, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ მეორე ადგილზე იყოს. ვერც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოუგო „შახტარს“, მაგრამ იმ შეხვედრაში რაიან გიგზმა თავისი ლეგენდარული სტატუსი მორიგი რეკორდით გაიმყარა. მადრიდში რონალდო და დი მარია „დაფრინავენ“, პარიზში - ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

### A ჯგუფი

**შახტარი-იუნაიტედი 1:1**

**გოლები:** 0:1 უელბეკი (18), 1:1 ტაისონი (76)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ვიაჩესლავ შევჩუკი (შახტარი)

„შახტარმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დონეცკში სუსტი ფეხბურთი გვიჩვენეს, მაგრამ ეს მატჩი მაინც შევიდა ისტორიაში. ამის მიზეზი მანკუნიანელთა უბერებელი ფეხბურთელი **რაიან გიგზია.** 39 წლის უელსელი მოედანზე 66-ე წუთზე, **მარუან ფელაინის** ნაცვლად შევიდა - გიგზისთვის ეს ევროსარბიელზე 145-ე შეხვედრა გახლდათ, რითაც რაიანი რეკორდსმენია და „რეალის“ ლეგენდას, **რაულს** უსწრებს.

უშუალოდ მატჩი კი ერთობ უინტერესო გამოდგა, თუმცა ორი გოლი მაინც ვნახეთ. **უელბეკის** გოლი დონეცკელთა მცველების პოზიციური შეცდომის წყალობა იყო, ხოლო **ტაისონის** გოლი კი „იუნაიტედის“ უკანახაზელ **ნემანია ვიდიჩის** სინდისზეა, რომელმაც ბურთი პირდაპირ ტაისონისკენ მოიგერია. აღსანიშნავია, რომ უკრაინელებს ინგლისურ კლუბებთან საკუთარ მოედანზე არასდროს წაუგიათ.

**დევიდ მოიესი** („მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი): *„მიმაჩნია, რომ მოპოვებული ქულით კმაყოფილები უნდა ვიყოთ, რადგან უკრაინელებს ინგლისურ კლუბებთან კარგი ბალანსი აქვთ. ბიჭებმა კარგად იბრძოლეს.“*

**მირჩა ლუჩესკუ** („შახტარის“ მთავარი მწვრთნელი): *„ფრე ისეთი შედეგია, რომლითაც არც ერთი გუნდი არ დარჩა უკმაყოფილო. რა თქმა უნდა, მოგება გვინდოდა, მაგრამ ისეთი მატჩი გამოდგა, რომ ფრითაც კმაყოფილები ვართ.“*

**ლევერკუზენი-სოსიედადი 2:1**

**გოლები:** 1:0 როლფესი (45), 1:1 ველა (52), 2:1 ჰეგელერი (92)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** იენს ჰეგელერი (ლევერკუზენი)

დონეცკში დაფიქსირებული ფრე ყველაზე მეტად „ლევერკუზენს“ აწყობდა. გერმანელებმა საკუთარ „ბაი-არენაზე“ „რეალ სოსიედადი“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს და ინგლისურ და უკრაინულ გრანდებს ახლა უკვე მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან, რაც „ლევერკუზენს“ მერვედფინალში გასვლის კარგ შანსს უტოვებს.

პირველი გოლის მომენტში შესანიშნავი იყო „ფარმაცევტების“ კაპიტანი **სიმონ როლფესი,** რომელმაც არა მარტო გაიტანა, არამედ გოლი სწორედ თავად შექმნა - ჯერ კუთხურის დროს თავით ყველას დაასწრო, მერე კი, მოგერიებულ ბურთზეც ყველას აჯობა და ანგარიში გახსნა. „ბასკებმა“ მეორე ტაიმში ოდნავ მოუმატეს და გოლი დაიმსახურეს - მართალია, გერმანელები აპროტესტებდნენ, მაგრამ **ჰილბერტმა** საჯარიმოში წესები მართლა დაარღვია, პენალტი კი **კარლოს ველამ** შეასრულა. „ლევერკუზენის“ ახალგაზრდა და უნიჭიერესმა მეკარემ **ბერნდ ლენომ** მისი დარტყმა მოიგერია, მაგრამ ველამ დამატებაზე ივარგა. რაც შეეხება გამარჯვების გოლს - ის მსაჯის მიერ დამატებულ მე-2 წუთზე გავიდა და ნამდვილი შედევრია. **იენს ჰეგელერმა** საჯარიმო დარტყმა იდეალურად შეასრულა და **ბრავოს** მოგერიების შანსი არ დაუტოვა. მართალია, ჰეგელერი თამაშში 85-ე წუთიდან ჩაერთო, მაგრამ 7 წუთი ეყო იმისათვის, რომ მატჩის გმირი გამხდარიყო. გოლამდე მან **მაქს კრუზეს** შეუქმნა კარგი მომენტი.

საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ ლევერკუზენელებს ცოტა არ იყოს, გაუმართლათ, რადგან კარგი პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში სუსტად გამოიყურებოდნენ და მატჩის ბოლოს გამარჯვების გოლთან „სოსიედადი“ უფრო ახლოს იყო...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 2. შახტარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 4. სოსიედადი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

### B ჯგუფი

**იუვენტუსი-გალათასარაი 2:2**

**გოლები:** 0:1 დროგბა (36), 1:1 ვიდალი (78-პენ), 2:1 კვალიარელა (87), 2:2 უმუთ ბულუთი (88)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფაბიო კვალიარელა (18)

**რობერტო მანჩინის** „გალათასარაის“ მთავარი მწვრთნელის რანგში კინაღამ საოცნებო დებიუტი გამოუვიდა, თუმცა ტურინში 2:2 მისთვის და მისი შეგირდებისთვის ყველანაირად კარგი შედეგია. მანჩინიმ „რეალთან“ (1:6) და თურქეთის ჩემპიონატის საწყის ტურებში შერცხვენილი „გალათასარაი“ ტურინში ისე ათამაშა, რის გამოც „მანჩესტერ სიტიდან“ გამოაგდეს: „გალამ“ კომპაქტური და დისციპლინირებული დაცვით „იუვენტუსს“ „სიცოცხლე გაუმწარა“.

უკან ნული, წინ **დროგბა** - სულ ეს იყო თურქული გრანდის რეცეპტი ტურინში. ანგარიში სწორედ დროგბამ გახსნა - მან **ბონუჩის** შეცდომით ისარგებლა, კარიდან გამოსული **ბუფონიც** გაასრიალა და „იუვეს“ ფანები დაადუმა. ეს 36-ე წუთზე მოხდა, რის შემდეგ „იუვენტუსი“ განრისხებული უტევდა, მაგრამ ტაიმი ისე დამთავრდა, **ანტონიო კონტეს** შეგირდებმა ვერაფერი გააწყვეს.

„იუვენტუსმა“ „გალათასარაი“ მეორე ტაიმში უფრო დაწნეხა, მაგრამ „თურქულ ბეტონს“ ბზარი არა და არ უჩნდებოდა. შეხვედრის მიწურულს თითქოს ტურინელებიც დაიღალნენ და ხეირიანადაც ველარ უტევდნენ, მაგრამ სწორედ მაშინ დაუდო ფეხი **ნორდინ ამრაბატმა ფაბიო კვალიარელას** და ამ უკანასკნელმაც მაშინვე თერთმეტმეტრიანის მოპოვებაზე იზრუნა. **არტურო ვიდალის** პენალტი **მუსლერასთვის** აუღებელი იყო... გოლმა „იუვეს“ მეორე სუნთქვა გაუხსნა და ათ წუთში კონტეს ბიჭები წინ გავიდნენ - კვალიარელამ, რომელსაც არავინ მეურვეობდა, თავით აუღებელი დარტყმა შეასრულა. მაგრამ „გალათასარაიმ“ მაინც გაათანაბრა: ერთ წუთში დროგბამ **ჯორჯო კიელინის** საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო და ბურთი **უმუთ ბულუთისკენ** გაგზავნა, რომელიც ბუფონთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩა და ჯიჯი უშანსოდ დატოვა.

ორი ქულა ორი ტურის შემდეგ - „იუვენტუსისთვის“ ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ „ბებერი ქალბატონი“ მაინც მეორე ადგილზეა. თუმცა „იუვენტუსს“ ახლა „რეალთან“ ზედიზედ ორი პაექრობა ელის, „გალა“ კი ორჯერ შეხვდება „კოპენჰაგენს“...

**ფაბიო კვალიარელა** (იუვენტუსი): *„ამ მატჩში ფრე არანაირად არ გვაწყობდა, „იუვენტუსისთვის“ ეს ცუდი შედეგია. საკუთარი თამაში ვერა და ვერ ვიპოვეთ. ახლა „რეალთან“ გაათმაგებული კონცენტრაციით თამაში გვმართებს.“*

**რობერტო მანჩინი** („გალათასარაის“ მწვრთნელი): *„გუნდში ძალიან ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი მყავს. უბრალოდ, ბიჭებს საკუთარი შესაძლებლობების უნდა სჯეროდეთ. ორი დღეა, „გალათასარაიში“ ვმუშაობ - რთული კვირა გვქონდა და ბევრი საქმე გვაქვს.“*

**რეალი-კოპენჰაგენი 4:0**

**გოლები:** 1:0 კ. რონალდო (21), 2:0 კ. რონალდო (65), 3:0 დი მარია (71), 4:0 დი მარია (91)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლუკა მოდრიჩი (რეალი)

**კრიშტიანო რონალდომ** ევროსარბიელზე მე-100 მატჩი ჩაატარა და 21-ე წუთზე თავით ანგარიში გახსნა, რაც არა მარტო მისთვის, არამედ ზოგადად „რეალისთვისაც“ ისტორიული გოლი გამოვიდა - ეს იყო მადრიდული გრანდის მიერ საკუთარ მოედანზე გატანილი მე-500 გოლი ჩემპიონთა ლიგაში.

„კოპენჰაგენთან“ საშინაო შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო **იკერ კასილიასისთვისაც,** რომელმაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 250-დღიანი (!) პაუზის მერე პირველად იასპარეზა. „რეალმა“ რონალდოსა და **დი მარიას** დუბლებით, მოლოდინისამებრ დიდი ანგარიშით მოიგო და ორი ტურის შემდეგ უახლოეს მდევარ და კონკურენტ „იუვენტუსს“ უკვე 4 (!) ქულით უსწრებს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 10-1 | 6 |
| 2. იუვენტუსი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 3. კოპენჰაგენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 4. გალათასარაი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-8 | 1 |

### C ჯგუფი

**პსჟ-ბენფიკა 3:0**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (5), 2:0 მარკინიოსი (25), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (30)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ)

„ბაიერნის“ ხელმძღვანელების კრიტიკას **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** „ბენფიკასთან“ ბრწყინვალე თამაშითა და ორი გოლით უპასუხა. 32-ე დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე შვედი თავდამსხმელი მატჩის და ზოგადად ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. იბრამ გადაჭედილ „პარკ დე პრენსზე“ ანგარიში უკვე მეხუთე წუთზე გახსნა - **ვან დერ ვილის** გამჭოლ პასს დახვდა და ბურთი ლისაბონელთა კარში მარტივად შეაგორა. პარიზელთა მეორე გოლიც იბრაჰიმოვიჩის დამსახურებაა - ზლატანმა კომბინაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პასი ქუსლით გააკეთა. მერე კი, ზუსტად ხუთ წუთში ისევ თვითონ გაიტანა - კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე ყველას აჯობა და თავით გაიტანა.

მე-2 ტაიმში პსჟ დამშვიდდა, რადგან პორტუგალიელებისგან საფრთხე ოდნავადაც არ იგრძნობოდა. „ბენფიკას“ მწვრთნელმა **ჟორჟე ჟეზუსმა** თამამი ცვლილებები კი გააკეთა, მაგრამ ეს უბრალოდ არ იყო „ბენფიკას“ დღე. ამრიგად, ორი ტურის შემდეგ პარიზულ კლუბს ექვსი ქულა აქვს და უკვე სამქულიანი უპირატესობით ლიდერობს.

**ანდერლეხტი-ოლიმპიაკოსი 0:3**

**გოლები:** 0:1 მიტროღლუ (17), 0:2 მიტროღლუ (56), 0:3 მიტროღლუ (72)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კოსტას მიტროღლუ (ოლიმპიაკოსი)

ეს შეხვედრა კი ბედის უკუღმართობის აპოგეა იყო. „ანდერლეხტი“ უტევდა, უპირატესობას ფლობდა, საგოლე მომენტებს ქმნიდა, გოლები კი ბერძნებმა გაიტანეს. უფრო სწორად, **კოსტას მიტროღლუმ** - სამივე გოლი მის ანგარიშზეა, განსაკუთრებით მომხიბვლელი კი მესამე გოლი გამოუვიდა, რომელიც საჯარიმოს გარედან, აუღებელი დარტყმით შეასრულა. კითხვაზე, რატომ მოიგო „ოლიმპიაკოსმა“ 3:0, პასუხის გაცემა ძნელია...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 3. ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ანდერლეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

### D ჯგუფი

**სიტი-ბაიერნი 1:3**

**გოლები:** 0:1 რიბერი (7), 0:2 მიულერი (56), 0:3 რობენი (60), 1:3 ნეგრედო (80)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ტონი კროოსი (ბაიერნი)

„ბაიერნის“ კონკურენტი ამ ჯგუფში „მანჩესტერ სიტი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რეკორდმაისტერი ჯგუფში უკონკურენტო იქნება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის შეხვედრა, რომელიც „ბაიერნმა“ მანჩესტერში აბსოლუტურად უპრობლემოდ, 3:1 მოიგო და ორი ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს. თანაც, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი მესამე და მეოთხე ტურებში პლზენის „ვიქტორიას“ უნდა შეხვდეს, რომელსაც ალბათ მეორე შემადგენლობითაც იოლად მოუგებს.

გვარდიოლამ **მანჯუკიჩი** მოულოდნელად სკამზე დასვა, ყველაზე წინ, ცენტრფორვარდად **თომას მიულერი** გაამწესა და ამ უკანასკნელმაც მადლობა გოლით გადაუხადა. თანაც, მიულერმა გოლი ისე შეასრულა, ნებისმიერ კლასიკურ ცენტრფორვარდს შეშურდებოდა. მას გვერდებიდან და ხანაც ცენტრიდან **რიბერი** და **რობენი** ეხმარებოდნენ - დანარჩენი გოლებიც მათ ანგარიშზეა. **ფილიპ ლამი** ისევ საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ, **შვაინშტაიგერსა** და **კროოსს** კი ცენტრში ჩაშლაზე მეტად შექმნა ევალებოდათ.

აღსანიშნავია, რომ **მანუელ პელეგრინიმ ნეგრედო** სკამზე დატოვა, ძირითადში კი **ედინ ჯეკო** გაამწესა, მაგრამ ბოსნიელი ვერაფერს გახდა, ის ერთადერთი, პრესტიჟის გოლი კი სწორედ ნეგრედოს ანგარიშზეა, რომელმაც იმდენად ეფექტური ბურთი შეაგდო, რომ უდავოდ სასტარტოში თამაშს იმსახურებს.

„ბაიერნი“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უნაკლოდ დომინირებდა და გამარჯვება ასი პროცენტით დაიმსახურა. მიუნხენელებმა კონცენტრაცია მხოლოდ მატჩის მიწურულს დაკარგეს და სწორედ მაშინ გაუშვეს ბურთი.

**მანუელ პელეგრინი** („მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი): *„ამ მატჩის შედეგი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის მხრივ გადამწყვეტი არაა, რადგან ჩვენ არ ვართ „ბაიერნის“ კონკურენტები. „ბაიერნი“ უკონკურენტოა. თუმცა ბიჭებთან რამდენიმე საკითხზე დალაპარაკება მომიწევს.“*

**ხოსეპ გვარდიოლა** („ბაიერნის“ მწვრთნელი): *„კარგად ვითამაშეთ, პრესინგსაც მშვენივრად მივმართავდით და საჰაერო ორთაბრძოლებსაც ვიგებდით. ყველაფრით კმაყოფილი ვარ.“*

**ცსკა-პლზენი 3:2**

**გოლები:** 0:1 რაიტორალი (4), 1:1 ტოშიჩი (19), 2:1 ჰონდა (29), 3:1 რეზნიკი (78-საკ. კარში), 3:2 ბაკოში (91)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კეისუკე ჰონდა (ცსკა)

ჩეხებმა მოსკოვში ანგარიში გახსნეს, მერე ორი გოლი მიიღეს და მატჩის მიწურულს, როცა მასირებულ შეტევებზე გადავიდნენ და როცა ცსკა-ს კარში გოლი თითქოს „მწიფდებოდა“, „პლზენის“ მეკარე **მატუშ კოზაჩიკს** ისეთი რამ დაემართა, რომ სტუმრებს ხასიათი ლამის სამუდამოდ წაუხდათ. „ვიქტორიას“ მეკარემ **რადიმ რეზნიკის** აბსოლუტურად უხიფათო, დაბალი პასი გაატარა - ბურთს ფეხი ძალიან კომიკურად ააცილა და ანგარიში 3:1 გახდა. 91-ე წუთზე ჩეხებმა ერთი ბურთი მაინც გაქვითეს და წაგება მხოლოდ თავიანთ მეკარეს უნდა დააბრალონ, რომელიც ხსენებულ მომენტში რატომღაც ძალიან „გამოთაყვანდა“.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2. სიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. ცსკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 4. პლზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**

II ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






დიდიე დროგბას და ჯორჯო კიელინის ორთაბრძოლა ანტონიო კონტეს თვალწინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგა. II ტური

# ბევრი დუბლი და განადგურებული ბაიერნი



„მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელები მორიგ გოლს აღნიშნავენ

### A ჯგუფი

**ლევერკუზენი-სოსიედადი 1:5**

**გოლები:** 1:0 ადრიან რუისი (6-საკ. კარში), 1:1 იონ ბაუტისტა (15), 1:2 იონ ბაუტისტა (21), 1:3 ანდონი გორროსაბელი (62), 1:4 ენეკო კაპილია (75-პენ), 1:5 მარტინ მერკელანსი (83)

**შახტარი-მანჩესტერ იუნ. 2:1**

**გოლები:** 1:0 იოანუ (3-საკ. კარში), 1:1 ჯ. უილსონი (76), 2:1 ზუბკოვი (87)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-3 | 6 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 3. შახტარი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 4. ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 4-9 | 0 |

### B ჯგუფი

**იუვენტუსი-გალათასარაი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბნუ-მარზუკი (48), 2:0 გერბაუდო (65), 2:1 ორჰანი (74), 3:1 სუმა (79)

**რეალი-კოპენჰაგენი 1:1**

**გოლები:** 1:0 ფრანსისკო როდრიგესი (45), 1:1 ა. ნილსენი (63)

**გაძევება:** გონსალეს პერესი (38. რეალი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 2. კოპენჰაგენი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 3. რეალი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. გალათასარაი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

### C ჯგუფი

**პსჟ-ბენფიკა 1:4**

**გოლები:** 0:1 როჩინია (41), 0:2 ჟოაო ნუნეში (48), 0:3 რომარიო (52), 1:3 ოგუსტენი (57), 1:4 ილდებერტო პერეირა (89)

**ანდერლეხტი-ოლიმპიაკოსი 4:2**

**გოლები:** 1:0 კავაია (37), 1:1 ვერგოსი (40), 2:1 ლეია (43), 3:1 ლეია (48), 4:2 ლეია (61), 4:2 გარეფალაკისი (86)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ანდერლეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 4. პსჟ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

### D ჯგუფი

**ცსკა-პლზენი 5:0**

**გოლები:** 1:0 ლიტვინოვი (2), 2:0 გეორგიევსკი (30), 3:0 ლიტვინოვი (39), 4:0 ეფრემოვი (42), 5:0 გეორგიევსკი (83)

**გაძევება:** კოტოვი (86. ცსკა)

**მანჩესტერ სიტი-ბაიერნი 6:0**

**გოლები:** 1:0 დენეირი (6), 2:0 მარკოს ლოპეში (13), 3:0 მარკოს ლოპეში (21), 4:0 გლენდონი (61), 5:0 მარკოს ლოპეში (64-პენ), 6:0 დ. კოული (72)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მან. სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 10-1 | 6 |
| 2. ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 3. პლზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |
| 4. ბაიერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-8 | 0 |

### E ჯგუფი

**სტიაუა-ჩელსი 0:4**

**გოლები:** 0:1 სვიფტი (27), 0:2 კივომია (51), 0:3 სვიფტი (79), 0:4 კივომია (88)

**ბაზელი-შალკე 0:5**

**გოლები:** 0:1 კერერი (11), 0:2 პიკი (16), 0:3 პიკი (50), 0:4 ბოდენრიოდერი (82), 0:5 ბოდენრიოდერი (83)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2. შალკე | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 3. სტიაუა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |
| 4. ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

### F ჯგუფი

**ბორუსია-მარსელი 5:2**

**გოლები:** 1:0 კნისტოკი (15), 2:0 გრეშაკე (21), 3:0 ილდიზი (62), 3:1 ჟირასი (68), 4:1 ილდიზი (73), 5:1 დუძიაკი (84), 5:2 ჟირასი (87)

**არსენალი-ნაპოლი 4:1**

**გოლები:** 1:0 აკპომი (38), 2:0 ლიპმანი (51), 3:0 ლიპმანი (53), 3:1 რუბინო (67), 4:1 აკპომი (79)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| 2. ბორუსია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 3. ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 4. მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |

### G ჯგუფი

**ზენიტი-ავსტრია 0:3**

**გოლები:** 0:1 ზივოტიჩი (9), 0:2 ჰორვატი (61), 0:3 გრუბეკი (72)

**პორტუ-ატლეტიკო 3:1**

**გოლები:** 1:0 ანდრე სილვა (8), 2:0 გრასა (26-პენ), 3:0 ანდრე სილვა (42), 3:1 ივი (90)

**გაძევება:** რიკარდო ტავარეში (89. პორტუ), სერხი (90. ატლეტიკო)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. ატლეტიკო | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 3. პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. ზენიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

### H ჯგუფი

**სელტიკი-ბარსელონა 1:2**

**გოლები:** 0:1 სანაბრია (14), 1:1 ჯონსტონი (52), 1:2 სანაბრია (83)

**აიაქსი-მილანი 2:3**

**გოლები:** 1:0 ვისერსი (7), 1:1 მასტალი (52), 1:2 ლოტი (62), 2:2 ვან დენ ბოომენი (84), 2:3 რონდანინი (84)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2. მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 3. სელტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 4. აიაქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - მარკოს ლოპეში (მანჩესტერ სიტი); 3 - იონ ბაუტისტა (სოსიედადი), გეორგიევსკი (ცსკა), კივომია (ჩელსი), სვიფტი (ჩელსი), ჯ. უილსონი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგა**ში, დიდების მსგავსად, მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა და რამდენიმე ჯგუფში ლიდერებიც გამოიკვეთა...

## ბაიერნი განადგურდა, ჩელსიმ დიდების მსგავსად მოიგო

ანგარიშების გაცნობის შემდეგ, ყველაზე დიდ გაკვირვებას, რა თქმა უნდა, „მანჩესტერ სიტის" და „ბაიერნის" მატჩის შედეგი იწვევს - ინგლისელმა 19-წლამდელებმა მიუნხენელები მიწასთან გაასწორეს და 6 უპასუხო გოლი გაუტანეს. მასპინძელთა რიგებში გამოირჩეოდა პორტუგალიელი **მარკოს ლოპეში**, რომელმაც ჰეთთრიქი შეასრულა. ახლა, ლოპეშის ანგარიშზე უკვე 5 ბურთია და ის ბომბარდირთა დავის ერთპიროვნული ლიდერია.

უფროსების მსგავსად, 4:0 მოიგო „ჩელსის" 19-წლამდელთა გუნდმაც. ლონდონელთა მხრიდან 2-2 გოლი **ჯონ სვიფტმა** და **ენდრიუ კივომიამ** გაიტანეს. გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა და გამორჩეულად ნიჭიერმა ფეხბურთელმა **ისლამ ფერუზმა** 90 წუთი ითამაშა, მაგრამ მეტოქის კარის აღება ვერ მოახერხა.

აღვნიშნოთ „არსენალის" მეორე გამარჯვებაც, რომელშიც დიდი წვლილი ყველასთვის კარგად ნაცნობმა **ჩუბა აკპომმა** შეიტანა. „მეთოფეთა" ძირითადი შემადგენლობის გაშინაურებულმა 18 წლის ნახევარმცველმა ასევე დუბლი შეასრულა. მის გარდა, ორი გოლი 18 წლის **ოსტინ ლიპმანმაც** გაიტანა.

გაჭირვებით მოიგო „ბარსელონამ" და აქაც, გადამწყვეტი ერთი ფეხბურთელის კარგი თამაში იყო. პარაგვაელმა **არნალდო სანაბრიამ** ჯერ ანგარიში გახსნა, 84-ე წუთზე კი გამარჯვების მომტანი ბურთიც გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**

აზიის ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ლიპის გუნდი ფინალშია

**გუანჯოუ-კაშივა 4:0 (4:1)**

**გოლები:** 1:0 ელკესონი (16), 2:0 კონკა (57), 3:0 მურიკი (79), 4:0 მურიკი (88)

**ესტეღლალი-სეული 2:2 (0:2)**

**გოლები:** 0:1 დაე სუნგ ჰა (37), 1:1 სამუელი (50), 2:1 გაზი ნაჯაფაბადი (75), 2:2 ჯინ კიუ კიმი (80-პენ)

**ბომბარდირები:** 13 - მურიკი (გუანჟოუ ევერგრანდი); 8 - კონკა (გუანჟოუ ევერგრანდი); 7 - ვაგნერ რიბეირო (ელ ჯაიში)

აზიაში, ჩემპიონთა ლიგის 1/2 ფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში თამაშის უფლება ჩინურმა „გუანჯოუ ევერგრანდმა" და „სეულმა" მიიღეს.

მარჩელო ლიპის „გუანჯოუ" საოცარ ფორმაშია - გუნდმა პლეი ოფის ეტაპზე ექვსივე შეხვედრა მოიგო და გადამწყვეტი მატჩის საგზური დამსახურებულად მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ ექვს შეხვედრაში ჩინეთის ჩემპიონატის ლიდერმა 19 გოლი გაიტანა და აქედან 17 „მაგიური ტრიოს", **დარიო კონკას**, **ელკესონის** და **მურიკის** ანგარიშზეა. კიდევ თითო გოლი კი ჩინეთის ნაკრების წევრმა **გაო ლინმა** და გუნდიდან უკვე წასულმა **ლუკას ბარიოსმა** გაიტანეს. ამ ყველაფრის ფონზე, გასაკვირი ნამდვილად არ არის ის, რომ ბომბარდირთა დავაში სწორედ „ევერგრანდის" ფეხბურთელები ლიდერობენ და არც ის, რომ „კაშივა რეისოლს", ორივე შეხვედრაში გოლები მხოლოდ ამ სამეულის წევრებმა გაუტანეს.

მეორე ფინალისტი გახდა „სეული", რომელმაც ირანის „ესტეღლალს" (ორი მატჩის ჯამში) უპრობლემოდ მოუგო. მასპინძელთა შემადგენლობაში ერთადერთმა ლეგიონერმა ითამაშა და ერთ-ერთი გოლი სწორედ მან გაიტანა - ინგლისის პრემიერლიგის ყოფილმა მოთამაშემ, **ჯლოიდ სამუელმა** ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ორი შეხვედრის ჯამში „ესტეღლალი" სოლიდური უპირატესობით აგებდა. აღსანიშნავია, რომ ირანის მოქმედი ჩემპიონის რიგებში არ უთამაშია კიდევ ერთ ცნობილ ფეხბურთელს, **ჯავად ნექუნამს**, რომელიც საკუთარ გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა.

ფინალის პირველი შეხვედრა 26 ოქტომბერს სეულში გაიმართება, საპასუხო მატჩი კი 9 ნოემბერს შედგება. „სეული" ფინალში მეორედ ითამაშებს - 2002 წელს გუნდმა თანამემამულე „სუვონ ბლუვინგსთან" წააგო, „ევერგრანდი" კი გადამწყვეტ შეხვედრაში პირველად იასპარეზებს. გამარჯვების შემთხვევაში, **მარჩელო ლიპის** გუნდი, „ლიაონინგის" შემდეგ (1990 წელს იმარჯვა) გახდება პირველი ჩინური კლუბი, რომელიც აზიის ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

**ტატო ბაციკაძე**



„გუანჯოუ ევერგრანდის" ლიდერები: მურიკი, ელკესონი და დარიო კონკა

ამბები

## მოურინიო ბენზემას შეძენას იანვარში ეცდება

პორტუგალიური გამოცემის „ა ბოლას" ინფორმაციით, **ჟოზე მოურინიო** იანვარში **ქარიმ ბენზემას** შეძენას გეგმავს. „ჩელსის" პორტუგალიელ დამრიგებელს სურს ისარგებლოს იმ სიტუაციით, რომელიც ფრანგი ფორვარდის გარშემოა შექმნილი. მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში ბენზემას რთული დროება უდგას და არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც მას მადრიდელი გულშემატკივრები უსტვენენ და მოედნიდან ოზსტრუქციით აცილებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მოურინიოს გუნდში უკვე ჰყავს **სამუელ ეტოო**, **ფერნანდო ტორესი** და **დემბა ბა**, ის მაინც შემტევი ხაზის გაძლიერებაზე ფიქრობს და საუკეთესო კანდიდატად სწორედ 25 წლის ყოფილი შეგირდი მიაჩნია.

## პუიოლმა, შესაძლოა, ვალიადოლიდთან ითამაშოს

„ბარსელონას" კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** ტრავმა ბოლომდე მოირჩინა და არის შანსი, რომ შაბათს ის მოედანზე გავიდეს და „ვალიადოლიდის" წინააღმდეგ ითამაშოს. 2 ოქტომბერს, ზუსტად 14 წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც პუიოლს კატალონიურ გუნდში დებიუტი ჰქონდა. სხვათა შორის, მაშინ „ბარსელონას" მეტოქე სწორედ „ვალიადოლიდი" იყო.

35 წლის ფეხბურთელმა „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე დაწერა: *„14 წლის წინ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში მქონდა დებიუტი. ყველა ჩემს გულშემატკივარს უდიდეს მადლობას ვუხდი იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ვგრძნობდი და იმედს ვიტოვებ, რომ კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშებ".*

აქვე შეგახსენებთ, რომ პუიოლს 12 მარტის შემდეგ არ უთამაშია. მაშინ, „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო 1/8-ფინალურ მატჩში კარლესმა ტრავმა მე-13 წუთზე მიიღო და მოედანი დატოვა.

**ტატო ბაციკაძე**

## მწვანე შუქი ფიფასგან

ფიფამ 27 სექტემბერს გულშემატკივართა მიერ ნეონაცისტური სიმბოლიკის გამოყენების გამო უკრაინას 11 ოქტომბერს პოლონეთთან ხარკოვში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრის უმაყურებლოდ გამართვა დააკისრა. თუმცა იმავე ორგანიზაციამ სააპელაციო საჩივრის განხილვის შემდეგ თხოვნა შეისმინა და ესოდენ მძიმე სასჯელი გააუქმა. ამ თემას გუშინ კიევში სპეციალური პრესკონფერენცია მიეძღვნა, რომელსაც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ანატოლი კონკოვი** და უეფას ვიცე-პრეზიდენტი **გრიგორი სურკისი** დაესწრნენ. ფიფას პირველი გადაწყვეტილებით ლვოვში 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე უკრაინა თამაშებს ვერ გამართავს. ამას გარდა, გულშემატკივართა გამოხდომა ფედერაციას 35 ათასი ევრო დაუჯდა. ეს უკანასკნელი სანქციები მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ძალაში დატოვა.

## ბაზელს სასჯელი ემუქრება

სამშაბათს ბაზელის „ზანკტ იაკობ პარკზე" „გრინფისის" აქტივისტთა მიერ მაყურებლისთვის შეთავაზებული „წარმოდგენისთვის" უეფამ შვეიცარიული კლუბის წინააღმდეგ „უსაფრთხოების ღონისძიებათა არასათანადო უზრუნველყოფის" ფორმულირებით დაიწყო საქმის შესწავლა. სტადიონს სერიოზული სანქციები ელოდება. შეგახსენებთ, რომ „ბაზელისა" და „შალკეს" მატჩის მე-4 წუთზე სტადიონის სახურავიდან მოედნისკენ ოთხი ადამიანი თოკებით დაეშვა, რომელთაც უზარმაზარი პლაკატი გაჭიმეს, სადაც არქტიკაში გაზის საბადოების საძებნელად კომპანია „გაზპრომის" მიერ დაწყებულ სამუშაოებს აპროტესტებდნენ. ამის გამო შეხვედრა 5 წუთით შეწყდა. პოლიციამ წესრიგი მალევე აღადგინა. შეგახსენებთ, რომ „გაზპრომი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ერთ-ერთი სპონსორია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

# ქართველთა უიღბლო ტური

წუხელ ევროპალიგის II ტურის მატჩები გაიმართა. სამწუხაროდ, ძალიან წარუმატებელი გამოდგა ეს შეხვედრები ქართველთათვის - ევროპალიგის განაცხადებში სულ ხუთი ქართველია და ოთხი მათგანის გუნდმა წააგო. მოიგო მხოლოდ **საბა კვირკველიას** „რუბინმა", მაგრამ რად გინდა - ქართველი მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა. **გია გრიგალავა** სათადარიგო იყო „ტოტენჰემთან" მატჩში, ისევე როგორც **სანდრო კობახიძე** - „ფიორენტინასთან". ითამაშა მხოლოდ ორმა ჩვენებურმა, მაგრამ ლეგიელმა **ლადო დვალიშვილმა** თავი ვერაფრით გამოიჩინა, მისი გუნდი კი შინ კვიპროსულ „აპოლონთან" დამარცხდა, ხოლო **ჯაბა კანკავას** „დნიპრო" „ფიორენტინასთან" ვერას გახდა.

### A ჯგუფი

**ყუბანი-ვალენსია 0:2**

გოლები: 0:1 ალკასერი (73), 0:2 ფეგული (81)

**სუონსი-სტ. გალენი 1:0**

გოლი: 1:0 რუტლიჯი (52)

*შენიშვნა: კარანოვიჩმა (სტ. გალენი) ვერ გამოიყენა პენალტი (15)*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სუონსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. სტ. გალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ყუბანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

სუონსი-ყუბანი
ვალენსია-სტ. გალენი

### B ჯგუფი

**ლუდოგორეცი-დინამო ზ. 3:0**

გოლები: 1:0 ჟუნინიო (12), 2:0 მისიჯანი (34), 3:0 დიაკოვი (61)

**ჩერნომორეცი-პსვ 0:2**

გოლები: 0:1 დეპაი (13), 0:2 ჟოზეპზოონი (88)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუდოგორეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. პსვ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ჩერნომორეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. დინამო ზ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ჩერნომორეცი-ლუდოგორეცი
დინამო ზ.-პსვ

### C ჯგუფი

**ესბიერგი-ზალცბურგი 1:2**

გოლები: 0:1 ალანი (6), 0:2 ალანი (37), 1:2 პატე (89)

**ელფსბორგი-სტანდარდი 1:1**

გოლები: 1:0 კლაესონი (23), 1:1 მუჟანჟი (62)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2. ესბიერგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. სტანდარდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. ელფსბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ელფსბორგი-ესბიერგი
ზალცბურგი-სტანდარდი

### D ჯგუფი

**რუბინი-ვარეგემი 4:0**

გოლები: 1:0 დუპლუსი (59 ს.კ.), 2:0 ერიომენკო (73), 3:0 რიაზანცევი (81), 4:0 ნატხო (89)

საბა კვირკველია (რუბინი) განაცხადში არ იყო

**უიგანი-მარიბორი 3:1**

გოლები: 1:0 პაუელი (22), 2:0 უოტსონი (34), 2:1 ტავარეში (60), 3:1 პაუელი (91)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 2. უიგანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ვარეგემი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 4. მარიბორი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

უიგანი-რუბინი
ვარეგემი-მარიბორი

### E ჯგუფი

**დნიპრო-ფიორენტინა 1:2**

გოლები: 0:1 როდრიგესი (53), 1:1 სელეზნიოვი (57-პენ), 1:2 ამბროზინი (73)

გაძევება: პისარო (86. ფიორენტინა)

ჯაბა კანკავამ (დნიპრო) 90 წუთი ითამაშა, სანდრო კობახიძე (დნიპრო) სათადარიგო იყო

**ფერეირა-პანდურიი 1:1**

გოლები: 0:1 მომჩილოვიჩი (5), 1:1 როდრიგესი (49)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. დნიპრო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. პანდურიი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. ფერეირა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ფერეირა-დნიპრო
ფიორენტინა-პანდურიი

### F ჯგუფი

**აპოელ-აინტრახტი 0:3**

გოლები: 0:1 ალექსანდრუ (27 ს.კ.), 0:2 ლაკიჩი (60), 0:3 იუნგი (66)

**ბორდო-მაკაბი თ. 1:2**

გოლები: 1:0 ჟუსიე (48), 1:1 იცჰაკი (71), 1:2 ეინბინდერი (80)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. მაკაბი თ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. აპოელ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 4. ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ბორდო-აპოელ
აინტრახტი-მაკაბი თ.

### G ჯგუფი

**რაპიდი-დინამო კ. 2:2**

გოლები: 0:1 იარმოლენკო (30), 0:2 დიბონი (34 ს.კ.), 1:2 ბურგშტალერი (53), 2:2 ტრიმელი (90)

**გენკი-თუნი 2:1**

გოლები: 1:0 გორიუსი (55), 2:0 ფოსენი (63), 2:1 მარტინესი (90)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. თუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. რაპიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. დინამო კ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

გენკი-რაპიდი
დინამო კ.-თუნი

### H ჯგუფი

**სევილია-ფრაიბურგი 2:0**

გოლები: 1:0 პეროტი (63-პენ), 2:0 ბაკა (90)

გაძევება: დიაბე (62. ფრაიბურგი)

**ლიბერეცი-ეშტორილი 2:1**

გოლები: 1:0 შურალი (15), 1:1 ლელი (45), 2:1 კოვაჩი (62)

გაძევება: მიგელი (37. ეშტორილი), საცკეი (83. ლიბერეცი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ლიბერეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 4. ეშტორილი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ლიბერეცი-სევილია
ფრაიბურგი-ეშტორილი

### I ჯგუფი

**რიეკა-ბეტისი 1:1**

გოლები: 1:0 ბენკო (10), 1:1 მაზვატი (14)

**ლიონი-გიმარაეში 1:1**

გოლები: 0:1 მააზუ (39), 1:1 გონალონი (53)

გაძევება: მააზუ (90)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გიმარაეში | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 2. ლიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 3. ბეტისი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. რიეკა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ლიონი-რიეკა
ბეტისი-გიმარაეში

### J ჯგუფი

**ლეგია-აპოლონი 0:1**

გოლი: 0:1 სანგოი (56)

ლადო დვალიშვილმა (ლეგია) 90 წუთი ითამაშა

**ტრაბზონი-ლაციო 3:3**

გოლები: 1:0 ერდოღანი (12), 2:0 მიერჟეიევსკი (22), 2:1 ონაზი (29), 3:1 ენრიკე (34), 3:2 ფლოკარი (84), 3:3 ფლოკარი (85)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 2. ტრაბზონი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 3. აპოლონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. ლეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ტრაბზონი-ლეგია
აპოლონი-ლაციო

### K ჯგუფი

**ანჟი-ტოტენჰემი 0:2**

გოლები: 0:1 დეფო (34), 0:2 ჩადლი (39)

გია გრიგალავა (ანჟი) სათადარიგო იყო

**ტრომსიო-შერიფი 1:1**

გოლები: 1:0 ონდრაშეკი (65), 1:1 რიკარდინიო (87)

გაძევება: მელი (73. შერიფი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. შერიფი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 3. ანჟი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 4. ტრომსიო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

ანჟი-ტრომსიო
შერიფი-ტოტენჰემი

### L ჯგუფი

**შახტიორი-მაკაბი ჰ. 2:2**

გოლები: 1:0 ფინონჩენკო (40), 2:0 ტარასოვი (45), 2:1 ეზრა (54), 2:2 ტურგემანი (79)

**ალკმაარი-პაოკ 1:1**

გოლები: 1:0 გუდელჯე (81), 1:1 სალპინგიდისი (90)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პაოკ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. შახტიორი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. მაკაბი ჰ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

მომდევნო ტური

**24 ოქტომბერი**

შახტიორი-ალკმაარი
პაოკ-მაკაბი ჰ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გერმანია

**ბუნდესლიგა. VII ტური**

4 ოქტომბერი

**ჰანოვერი-ჰერტა 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰოლანდი (ჰერტა)

**ტრავმა:** ნიკჩი, კასუმოვიჩი, ჩერუნდოლო, ფრანკა, პანდერი, შულცე, ფელიპე - ნდიენგი, ბაუმიოჰანი, კლუგე, ფრანცი, მუხტარი

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 34 თამაში: +8=11-15, (40:53)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დორტმუნდი | 7 | 6 | 1 | 0 | 21-5 | 19 |
| 2. ბაიერნი | 7 | 6 | 1 | 0 | 14-2 | 19 |
| 3. ლევერკუზენი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-7 | 18 |
| 4. ჰანოვერი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-10 | 12 |
| 5. ჰერტა | 7 | 3 | 2 | 2 | 13-8 | 11 |
| 6. შტუტგარტი | 7 | 3 | 1 | 3 | 15-9 | 10 |
| 7. გლადბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 17-13 | 10 |
| 8. აუგსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 9. ვერდერი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 3 | 2 | 18-18 | 9 |
| 11. ვოლფსბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 9-9 | 9 |
| 12. მაინცი | 7 | 3 | 0 | 4 | 10-15 | 9 |
| 13. აინტრახტი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-12 | 8 |
| 14. შალკე | 7 | 2 | 2 | 3 | 10-16 | 8 |
| 15. ნიურნბერგი | 7 | 0 | 5 | 2 | 9-12 | 5 |
| 16. ჰამბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 12-19 | 5 |
| 17. ფრაიბურგი | 7 | 0 | 3 | 4 | 8-17 | 3 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-18 | 1 |

**ბომბარდირები**- 6 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მოდესტე (ჰოფენჰაიმი), 6. მიულერი (მაინცი); 5 - ალაგუი (ჰერტა), ობამეიანგი (დორტმუნდი), კისლინგი (ლევერკუზენი), სემი (ლევერკუზენი).

## ესპანეთი

**ლა ლიგა. VIII ტურის წინ**

**ვილიარეალი-გრანადა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ფარინოსი - პიტი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 (9-5) +2=2-2 (5-4)

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +1=0-1 (3:2)

**მალაგა-ოსასუნა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** სეხუდო (ოსასუნა)

**ტრავმა:** ველიგტონი, კასადო - რობერტო ტორესი, ეჩაიდე, მიგელ ფლანიო, ნინო

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 (11-5) +1=0-5 (4-11)

ურთიერთშეხვედრები

სულ 24 თამაში: +11=9-4 (39:24)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 7 | 0 | 0 | 24-5 | 21 |
| 2. ატლეტიკო | 7 | 7 | 0 | 0 | 19-5 | 21 |
| 3. რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-7 | 16 |
| 4. ვილიარეალი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-7 | 14 |
| 5. ბილბაო | 7 | 4 | 0 | 3 | 12-12 | 12 |
| 6. ვალენსია | 7 | 4 | 0 | 3 | 10-10 | 12 |
| 7. ესპანიოლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| 8. ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 9. ლევანტე | 7 | 2 | 4 | 1 | 6-11 | 10 |
| 10. მალაგა | 7 | 2 | 3 | 2 | 11-6 | 9 |
| 11. ბეტისი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-7 | 8 |
| 12. გრანადა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-5 | 8 |
| 13. სოსიედადი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-8 | 7 |
| 14. სევილია | 7 | 1 | 3 | 3 | 11-13 | 6 |
| 15. სელტა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 16. ვალიადოლიდი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-9 | 6 |
| 17. ელჩე | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| 18. ალმერია | 7 | 0 | 3 | 4 | 10-17 | 3 |
| 19. ოსასუნა | 7 | 1 | 0 | 6 | 5-13 | 3 |
| 20. ვალეკანო | 7 | 1 | 0 | 6 | 5-21 | 3 |

**ბომბარდირები:** 8 - ლიონელ მესი (ბარსელონა), დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - პედრო (ბარსელონა)

## საფრანგეთი

**ლიგა 1. IX ტურის წინ**

**ბასტია-ლორიანი 22:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კაუზაკი, ჰარეკი, სკილაჩი - დაილიო, კონე, სუნუ, ბარტელმი, ტრაორე, ქვერსია, ალიადიერი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +3=2-3, (10-12)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონაკო | 8 | 5 | 3 | 0 | 14-4 | 18 |
| 2. პსჟ | 8 | 5 | 3 | 0 | 12-4 | 18 |
| 3. მარსელი | 8 | 5 | 2 | 1 | 12-5 | 17 |
| 4. ლილი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-4 | 14 |
| 5. ნიცა | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| 6. ნანტი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-8 | 13 |
| 7. სტ. ეტიენი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-9 | 13 |
| 8. რენი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 12 |
| 9. ლიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-7 | 11 |
| 10. რეიმსი | 8 | 2 | 5 | 1 | 6-5 | 11 |
| 11. მონპელიე | 8 | 1 | 6 | 1 | 9-11 | 9 |
| 12. ბასტია | 8 | 2 | 3 | 3 | 7-10 | 9 |
| 13. ევიანი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 14. ტულუზი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 15. გენგამი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-10 | 8 |
| 16. აიაჩო | 8 | 1 | 4 | 3 | 6-9 | 7 |
| 17. ბორდო | 8 | 1 | 4 | 3 | 7-11 | 7 |
| 18. ლორიანი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-11 | 7 |
| 19. სოშო | 8 | 1 | 2 | 5 | 6-14 | 5 |
| 20. ვალანსიენი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-14 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - რადამელ ფალკაო (მონაკო); 6 - კევინ ბერიგო (ევიანი), ემანუელ რივიერი (მონაკო); 5 - დარიო ცვიტანიჩი (ნიცა).

იტალიის ნაკრები



ჩეზარე პრანდელი და მარიო ბალოტელი

# პრანდელი ბალოტელის გამოიძახებს

## მარიომ სასჯელი უკვე მოიხადა

იტალიის ნაკრებმა უკვე მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური და შესარჩევი ეტაპის ბოლო ორ შეხვედრას მშვიდად ეგებება. დიდი ალბათობით, **ჩეზარე პრანდელი** რამდენიმე ახალწვეულს გამოიძახებს და არც ტაქტიკა-სტრატეგიაში მოერიდება ექსპერიმენტებს. თუმცა, იმასაც ლიად ამბობს, რომ ძირითადი ბირთვი შერჩეული ჰყავს და მთავარი გუნდის კიდევ უფრო შეთამაშებაა. 11 ოქტომბერს „სკუადრა აძურა" დანიის ეროვნულ გუნდს ესტუმრება, ოთხი დღის შემდეგ კი ნეაპოლში, „სტადიო სან პაოლოზე" სომხეთის ნაკრებს შეეჭიდება.

ცნობილი ამბავია, რომ ჩეზარე პრანდელი უდიდეს ყურადღებას აქცევს ფეხბურთელთა დისციპლინას და ქცევის წესებს, სხვადასხვა დარღვევისთვის კი არაერთი ფეხბურთელი დაუტოვებია განაცხადს მიღმა. გახსოვთ ალბათ, ამ მიზეზით სენიორ ჩეზარემ **პაბლო დანიელ ოსვალდო** კონფედერაციათა თასის გარეშე დატოვა. მოკლედ, ამ მხრივ პრანდელი დაუნდობელია და ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ ამჯერად, რჩეულთა შორის **მარიო ბალოტელის** ადგილი არ მოიძებნება. შეგახსენებთ, რომ მარიო „მილანი"-"ნაპოლის" შეხვედრისას „აფეთქდა" და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა. რას აპირებს პრანდელი? - ამას თავად მწვრთნელისგან შეიტყობთ:

*„ბალოტელის კიდევ ერთხელ უმტყუნა ნერვებმა და ეს ძალიან ცუდია. „მილანის" მესვეურთა საქციელი კი მხოლოდ ქებას იმსახურებს, რადგან მათ არ გაასაჩივრეს დისციპლინართა გადაწყვეტილება. ლომბარდიელებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ მარიოს სასჯელი უნდა მოეხადა და ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. გამოვიძახებ თუ არა ბალოტელის უახლოესი სანაკრებო თამაშებისთვის? - კი, აუცილებლად გამოვიძახებ. მარიომ 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, ორი თამაში უკვე გამოტოვა და როდესაც ეროვნული გუნდის განაცხადს დავასახელებ, სასჯელი მთლიანად ექნება მოხდილი. მაშინ, რალა საჭიროა მისი კიდევ ერთხელ დასჯა? - ასე რომ, ბალოტელი ეროვნულ გუნდთან ერთად იქნება".*

ჩეზარე პრანდელიმ დანიელებთან და სომხებთან მოახლოებულ პაექრობებზე ისაუბრა: *„მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი დრო არაა დარჩენილი და ამ ეტაპზე, მთავარი გუნდის კიდევ უფრო შეთამაშებაა. თუმცა, სეზონი გრძელია და კარგად მესმის, რომ პერიოდულად, წამყვან ფეხბურთელებს დასვენება არ აწყენდათ. გამოვიძახებ ახალ ფეხბურთელებსაც და ვნახავთ, ვინ შეიძლება გამოგვადგეს ბრაზილიურ მუნდიალზე. დანიასთან გასვლაზე თამაში ურთულესი იქნება, სომხებს კი ნეაპოლში ვხვდებით, სადაც ცუდ თამაშს არავინ გვაპატიებს. მოკლედ, წინ საინტერესო ბატალიები გველის".*

**ლაშა ნიკლაური**

სავარაუდო ტრანსფერი

# იუვე ლუკაკუს აკვირდება

„დეილი მირორის" ინფორმაციით, ტურინის „იუვენტუსს" ამჟამად „ევერტონში" მოასპარეზე **რომელუ ლუკაკუს** ტრანსფერზე სურს მოლაპარაკებების დაწყება და ამისთვის ის „ჩელსის" უკვე დაუკავშირდა. ლონდონელებს ლივერპულელებთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად 20 წლის ფეხბურთელის იჯარიდან გაწვევის უფლება არ გააჩნიათ. შესაბამისად, მას სეზონის ბოლომდე მოუწევს „გუდისონ პარკზე" ასპარეზობა. „ბებერ ქალბატონს" კი მერსისაიდელთა თავკაცის დათანხმება ლუკაკუს გაშვებაზე ძალიან გაუჭირდება. თავდამსხმელმა „ევერტონში" მხოლოდ 3 ტაიმი ითამაშა და ამ დროში 3 გოლის გარდა საგოლე გადაცემაც მიითვალა. განსაკუთრებით ეფექტური იყო ის „ნიუკასლთან" ბოლო ტურში (2 გოლი და პასი).

**ლევან ბიბილაშვილი**

დორტმუნდის ბორუსია

# არსენალთანაც კლოპის გარეშე

დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპს** იმედი ჰქონდა, რომ „ნაპოლისთან" შეხვედრაში განრისხება მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის ფასად დაუჯდებოდა (კლოპი „მარსელთან" ტრიბუნაზე იჯდა), მაგრამ უეფას სადისციპლინო კომისიამ გერმანიის ვიცე-ჩემპიონის თავკაცს დისკვალიფიკაცია ერთი მატჩით გაუგრძელა, რაც იმას ნიშნავს, რომ 46 წლის კლოპს ლონდონის „არსენალთან" გასვლით შეხვედრაშიც ტრიბუნაზე მოუწევს ჯდომა.

*„ტრიბუნაზე ჯდომა, რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს, მაგრამ „ნაპოლისთან" შეცდომა დავუშვი და შესაბამისად, ვისჯები კიდეც. თუ ჩემი გუნდი „არსენალთანაც" ისე ითამაშებს, როგორც „მარსელთან" ითამაშა, ტრიბუნაზე ჯდომაში პრობლემას ვერ ვხედავ,"* - აღნიშნა კლოპმა გუშინ.



იურგენ კლოპი

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა სიმონიშვილი

დამიმახსოვრეთ

# თემიდისგან

„მილანისადმი“ სიმპათია გუნდში კახა კალაძის გადასვლამდეც გამაჩნდა და დღემდე დამრჩა. თუმცა სამშაბათს „აიაქსი“-“მილანის“ მატჩის ბოლოს ამსტერდამელების უსამართლოდ დაჩაგვრის შეგრძნება გამიჩნდა. ჯიუტად ახლაც მჯერა, რომ „აიაქსის“ კარში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. შეხვედრა 1:1 დასრულდა. სექტემბერში ქართველებმა საკუთარ თავზე გამოვცადეთ მსაჯობის უსამართლობა, რაც ჯგუფში ჩარჩენად დაგვიჯდა - სლოვენიასთან საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მატჩის შემდეგ იქაური გულშემატკივრებიც გვამშვიდებდნენ, მსაჯებმა დიდი შეცდომები დაუშვეს, მაგრამ ახლა რაღას შეცვლითო.

დასანანი სწორედ ის არის, რომ არბიტრის ფატალური შეცდომის მერე არაფერი იცვლება. არ არსებობს ბერკეტი სამართლიანობის აღდგენისა, გარდა ნუგეშისა. ამ სტატიის დაწერითაც არაფერი იცვლება, თუმცა მაინც გვინდა გავიხსენოთ: ათადან და ბაბადან ასე იყო... ინტერნეტში მსაჯების შეცდომების ძიებისას ქართულ გვარსაც გადავაწყდი. გამოცემა „ლიბეროში“ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში დაფიქსირებული 10 ყველაზე ხმაურიანი შეცდომაა ჩამოთვლილი. დაჩაგრულთა შორისაა რამაზ შენგელიაც.



## 1 1966, ინგლისი-გერმანია

ინგლისელებმა ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მსოფლიოს ჩემპიონობა 1966 წელს მოიპოვეს. იმ მატჩში არბიტრმა **ტოფიკ ბახრამოვმა** დამატებით დროში **ჯეფ ჰერსტის** არარსებული გოლი ჩათვალა. ბრიტანელებმა საბოლოოდ 4:2 მოიგეს. ეს ამბავი მსოფლიოს საფეხბურთო ისტორიაში ყველაზე ხმაურიან შეცდომად ითვლება.



## 2 1970, ბარსელონა-რეალი

6 ივნისს არბიტრმა **ემილიო გურუჩეტამ** 59-ე წუთზე რეალელი **ველასკესის** ნაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი დანიშნა, არადა წესები აშკარად საჯარიმოს გარეთ დაირღვა. „ბარსელონას“ კაპიტანი **ელიადო** მსაჯს მიეჭრა და მიაძახა: „მადრიდისტა, ნამუსი არა გაქვს!“ ამას მოედანზე დიდი არეულობა მოჰყვა.



## 3 1982, ბრაზილია-სსრკ

ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილია ლეგენდარული შემადგენლობით ჩავიდა: **სოკრატესი, ზიკო, ფალკაო...** საბჭოთა კავშირის გუნდშიც იყვნენ ვარსკვლავები, **ბლოხინი, ბალტაჩა, დასაევი...** მეკარე **პერესის** შეცდომის შემდეგ საბჭოელები 1:0-ს იგებდნენ, მაგრამ სამხრეთამერიკელებმა ორი გაიტანეს.

მატჩის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი მსაჯ **ლამო კასტილოს** მოქმედება იყო: **რამაზ შენგელია** ბრაზილიელთა საჯარიმოში ბურთიანად შევიდა, მაგრამ მცველმა წესების დარღვევით დარტყმის უფლება არ მისცა. მსაჯმა არ დასტვინა, ბრაზილიას პენალტი ააცილა.



## 4 1986, არგენტინა-ინგლისი

მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში **დიეგო მარადონამ** ინგლისის წინააღმდეგ ორი გოლი გაიტანა, ორივე შედევრი - ერთი საფეხბურთო, მეორე სახელბურთო. პირველი გოლი მან ხელით შეაგდო, მეორე - ეფექტური დრიბლინგის შედეგად, ფეხით. ეს უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო გოლად აღიარეს.

## მარადონა და სანიკ... რჩევა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორიზაცია
...პაროლი?

# ჩაგრულნი



## 5 1994, იტალია-ესპანეთი

იტალიელმა **მაურო ტასოტიმ** ესპანელ **ლუის ენრიკეს** იდაყვი უთავაზა. მსაჯ **შანდორ პულს** ეს ეპიზოდი გამოეპარა, არადა საჯარიმოში მოხდა და პენალტიც უნდა დაენიშნა.

იტალიამ 2:1 მოიგო.



## 6 2002, ესპანეთი-სამხრეთ კორეა

მსოფლიოს ჩემპიონატზე ეგვიპტელმა არბიტრმა **ალ-გჰანდურმა** ესპანელებს ორი დამსახურებული გოლი არ ჩაუთვალა და **ანტონიო კამაჩოს** გუნდი მუნდიალს მიღმა დატოვა. კორეელებმა პენალტების სერიაში მოიგეს.



უეფას თასზე რუმინელები შეხვედრის ბოლო წამებზე 1:2-ს აგებდნენ, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ერთი გოლი სჭირდებოდათ. ფრანგმა მეკარე **ფაბიენ ბარტეზმა** უხეში შეცდომა დაუშვა, ბურთი დინამოელს მიუვიდა, კარის მიმართულებით დაარტყა, მაგრამ მსაჯმა თამაში სწორედ მაშინ დაამთავრა, ბურთი კარისკენ რომ „მიემართებოდა" და გოლი არ ჩაითვალა.

## 7 2005, „მარსელი"-„დინამო" (ბუქარესტი)



## 8 2006, იტალია-ავსტრალია

მომავალ მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას მეოთხედფინალში ძალიან გაუჭირდა ავსტრალიის დამარცხება. ბოლო წამებზე მათთვის მსაჯმა პენალტი გაიმეტა. 11-მეტრიანი **ფრანჩესკო ტოტიმ** გოლად აქცია.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეი ოფიდან ფრანგებმა ირლანდიელები **ტიერი ანრის** გოლის წყალობით გამოთიშეს. ტიერიმ კარში დარტყმის წინ ბურთი ხელით გაისწორა.



## 9 2009, საფრანგეთი-ირლანდია



## 10 2010, გერმანია-ინგლისი

თითქოს მსაჯებმა გერმანელებს 1966 წელს დაკარგული დაუბრუნესო: ალემანები 2:1-ს იგებდნენ, როცა **ფრენკ ლამპარდის** დარტყმული ხარიხიდან ასხლეტით კარის ხაზს შიგნით დაეცა. მსაჯმა გოლი არ ჩათვალა. იმ მატჩში გერმანიამ 4:1 იმარჯვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები


უილიამ კინი

## მაკლარენის პირველი წინადადება

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი **სტივ მაკლარენი** „დერბი ქაუნთის“ მწვრთნელად რამდენიმე დღის წინ დაინიშნა. 52 წლის სპეციალისტმა უკვე დაადასტურა, რომ შემადგენლობის გაძლიერებას შეეცდება. ცნობილი გახდა მისი პირველი სამიზნეც. ლაპარაკია „მანჩესტერ იუნაიტედის“ 20 წლის თავდამსხმელ **უილიამ კინზე**, ვინც 2011 წლიდან ირიცხება „იუნაიტედის“ ახალგაზრდულ გუნდში და მას შემდეგ პრემიერლიგაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა. ისიც 2 წლის წინ „ბლექბერნთან“ 2:3-ზე წაგებულ შეხვედრაში. „კინის იჯარაზე ადრეც გვიფიქრია, თუმცა მაშინ უარი მივიღეთ. ვფიქრობ, მაკლარენის მოსვლის შემდეგ ამის შანსი გაიზარდა, რადგან მას „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობასთან შესანიშნავი ურთიერთობები აქვს,“ - განაცხადა „დერბის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **სემ რაშმა**.

გეტყვით, რომ მაკლარენის გუნდი ჩემპიონშიპში ჩატარებული 10 ტურის შემდეგ 12 ქულით მე-14 ადგილზეა. გუნდის თავკაცს უკბილო თავდამსხმელების გარდა დაცვის გაძლიერებაზე ზრუნვაც მართებს, რადგან „ცხვრებს“ ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი უკანა ხაზი ჰყავთ.

## რუნი მზად იქნება

„შახტართან“ შეხვედრის დაწყებამდე **უეინ რუნიმ** ვარჯიშზე **დენი უელბეკთან** რიგით ორთაბრძოლაში წვივში მტკივნეული დარტყმა მიიღო, რის გამოც ფეხბურთელმა უკრაინელებთან თამაში გამოტოვა. **დევიდ მოიესმა** აღარ გარისკა და შეგირდი განაცხადს მიღმა დატოვა. ძირითადში კი ადგილი სწორედ უელბეკმა დაიკავა. როგორც ირკვევა, უეინს სერიოზული არაფერი სჭირს. ის დღესვე გეგმავდა ვარჯიშის განახლებას. ასე რომ, რუნი ხვალ „სანდერლენდთან“ პრემიერლიგის მე-7 ტურის შეხვედრაში მოედანზე იქნება. შესაბამისად, შიში, რომ ვარსკვლავი ჩერნოგორიასა და პოლონეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებს გამოტოვებდა, არ გამართლდა.


უეინ რუნი

არსენალი

# ვენგერის ახალი კონტრაქტი

## ...და ფრანგის 17 წლიწადი ციფრებში

რამდენიმე დღის წინ უკვე ვწერდით, რომ „არსენალის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელმა **სტენ კროენკემ არსენ ვენგერთან** თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი ოფიციალურად დაადასტურა. კლუბის დირექტორთა საბჭომ ამერიკელი მილიარდერის ინიციატივა მოიწონა და 63 წლის ფრანგისთვის ახალი კონტრაქტი გაამზადა, რომლის თანახმადაც, ამაგდარი მწვრთნელის ხელფასი წელიწადში 8 მილიონი ფუნტი გახდება, 0.5 მილიონით მეტი, ვიდრე ის ახლა გამოიმუშავებს. „არსენალი“ მოლაპარაკებათა პროცესს უახლოეს დღეებში დაიწყებს. ჩრდილოლონდონელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ვენგერი აუცილებლად დათანხმდება მათ შეთავაზებას.

შეგახსენებთ ფრანგის ერთი თვის წინანდელ განცხადებასაც, რომ ის მოლაპარაკებებში ჩაბმას სეზონის დასრულებამდე არ გეგმავს.

1 ოქტომბერს მუსიე ვენგერს ზუსტად 17 წელი გაუხდა მას შემდეგ, რაც „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი ჰქვია. იმ დღეს მან პოსტზე **ბრიუს რიოჩი** შეცვალა. პირველად კი გუნდი მოედანზე 12 ოქტომბერს „ბლექბერნთან“ გაიყვანა და 2:0 მოიგო. მან უკვე მოასწრო და დაამყარა პრაქტიკულად ყველანაირი რეკორდი, რისი დამყარებაც კი შეიძლებოდა. მაგალითად, ის არა მხოლოდ ყველაზე წარმატებული მწვრთნელია კლუბის ისტორიაში („მეთოფეთა“ ისტორიაში 27-დან 11 ტიტული მის ანგარიშზეა), არამედ ისტორიაში ყველაზე დიდხანს უდგას გუნდს სათავეში. კლუბის ვებგვერდმა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სტატისტიკური ანალიზი შემოგვთავაზა, რომელშიც სამშაბათს „ნაპოლისთან“ გამართული შეხვედრა გასაგები მიზეზების გამო შეტანილი არ არის. მაშ ასე:

■ 28 სექტემბერს „სუონსისთან“ შეხვედრა ვენგერისთვის 964-ე იყო „არსენალის“ თავკაცის პოსტზე, რომელთაგან მას 558 მოგება აქვს. მოგებათა პროცენტი საკმაოდ მაღალია - 57.9%. ამ მაჩვენებლით ის ერთადერთი მწვრთნელია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიაში, ვის გუნდსაც თამაშების ნახევარზე მეტი აქვს მოგებული. ფრანგის ხელმძღვანელობით გუნდმა მომდევნო 130 თამაში ზედიზედ რომ წააგოს, ბალანსი მაინც დადებითი იქნება.

■ 964 თამაშში „არსენალმა“ გაიტანა 1786 ბურთი, რაც საშუალოდ 1.85 გოლს ნიშნავს. ცხადია, დადებითია ბურთების ბალანსიც (+857).

■ ვენგერის ანგარიშზეა არა მხოლოდ ყველაზე მეტი მატჩი, არამედ ყველაზე მეტი მოგება, ფრე და წაგებაც. მას „მეთოფეებთან“ ერთად მოგებული აქვს 11 ტიტული, უფრო მეტი, ვიდრე სხვა მწვრთნელებს.

■ ვენგერმა ყველაზე მეტჯერ გაიყვანა გუნდი როგორც პრემიერლიგის, ასევე ლიგისა და ასოციაციების თასებზე, პლუს ევროტურნირებზე.

■ ვენგერი ერთადერთი მწვრთნელია „არსენალის“ ისტორიაში, ვისაც ჩემპიონობა და ასოციაციის თასი მინიმუმ 2-ჯერ აქვს მოგებული.

■ ვენგერის გარდა არც ერთ უცხოელ მწვრთნელს არ მოუგია ჩემპიონობა და ასოციაციის თასი პირველივე სრულ სეზონში. მან ეს მიღწევა 2001/02 წლებშიც გაიმეორა. ამ წელს გუნდმა ჩატარებული თამაშების 65%-ში იმარჯვა, რაც მას შემდეგ აღარ გამეორებულა.

■ ვენგერის გუნდს პრემიერლიგა მე-4 ადგილზე ქვემოთ ჯერ არ დაუსრულებია. 17-წლიანი სერიის შემდეგ საუკეთესო შედეგი „არსენალს“ 1930/31-დან 1934/35 წლების სეზონის ჩათვლით ჰქონდა.

■ ვენგერს ყველა ტიტული „ჰაიბერიზე“ ასპარეზობის პერიოდში აქვს მოგებული. 2006-ში „ემირეიტსზე“ გადაბარგების შემდეგ გუნდს მშრალი სერია დაეწყო. არადა, „არსენალს“ საშინაო არენაზე მხოლოდ უმნიშვნელო სტატისტიკური რეგრესი აქვს. „ჰაიბერიზე“ მოგებათა პროცენტი 70.6%-ს უტოლდებოდა, „ემირეიტსზე“ კი ის მხოლოდ 2.2%-ით დაეცა.

■ გატანილი ბურთების საშუალო მონაცემი ორივე სტადიონზე 2.16-ია, ახალ სტადიონზე კი გუნდი უფრო იშვიათად უშვებს, საშუალოდ 0.77-ს, მაშინ როცა ეს მონაცემი 0.82 გახლდათ.

■ 17 წლის განმავლობაში ვენგერმა 187 მოთამაშე გამოიყენა, 22.9% იმ ფეხბურთელებისა, ვისაც ოდესმე „არსენალის“ ღირსება დაუცავს.

187-დან მხოლოდ 27-მა ითამაშა თითო შეხვედრა, 22-მა კი 200-ზე მეტჯერ დაიცვა ჩრდილოლონდონელთა ღირსება. ყველაზე მეტჯერ ვენგერის „არსენალში“ პატრიკ ვიეირამ ითამაშა - 402-ჯერ.

■ 187-დან 96-მა, ანუ ნახევარზე მეტმა ერთხელ მაინც მოახერხა გოლის გატანა.

**ტიერი ანრი** არა მხოლოდ ვენგერის ეპოქის, არამედ „არსენალის“ ყველა დროის ბომბარდირია. მან ჩემპიონატში 228 გოლი შეაგდო.

■ სერ **ალექს ფერგიუსონის** პენსიაზე გასვლის შემდეგ ვენგერი ბრიტანეთის მასშტაბით მოქმედ მწვრთნელებს შორის პირველ ადგილზე გადავიდა კლუბში უწყვეტ რეჟიმში გატარებული წლების მიხედვით. მეორე ადგილზე ლიგა 2-ში მოთამაშე „ექსეტერ სიტის“ თავკაცი **პოლ ტისდეილია**, ვინც გუნდს 2006 წლის 26 ივნისს ჩაუდგა სათავეში.

■ პრემიერლიგაში კი ვენგერის შემდეგ ამ მაჩვენებლით „ნიუკასლის“ თავკაცი ალან პარდიუ მოდის, ვინც „კაჭკაჭების“ მწვრთნელად 3 წლის წინ დაინიშნა.


1 ოქტომბერს არსენ ვენგერმა ლონდონური ცხოვრების დაწყების მე-17 წელიწადი აღნიშნა

ამბები


მიკაელ ესიენი

## ესიენის ესპანური შანსი

**მიკაელ ესიენს** „ჩელსიში“ დაბრუნების შემდეგ საქმეები არ მისდის. 30 წლის ფეხბურთელს პრემიერლიგაში ჯერ ერთი წუთითაც არ უთამაშია. არადა, **ჟოზე მოურინიოს** ის განაცხადში რეგულარულად შეჰყავს. ცხადია, ვეტერანი შექმნილი ვითარებით უკმაყოფილოა. სპორტული ვებგვერდების ცნობით, ლონდონელებს მოთამაშის ტრანსფერზე „ვალენსიამ“ უკვე მიმართა. მოლაპარაკებები მხარეთა შორის მალევე დაიწყება და მათი წარმატებით დასრულების შემთხვევაში ესიენი „მესტალიაზე“ სათამაშოდ იანვარში გადავა. „ღამურები“ განელთან სრულფასოვანი კონტრაქტის დადებას გეგმავენ. წესით, „ჩელსიმ“ დამსახურებულ ვეტერანს უსაშველო ფასი არ უნდა დაადოს.

## რემი იყიდება

ჩემპიონშიპში მოასპარეზე „ქუინზ პარკის“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** პირადად დაადასტურა, რომ „ნიუკასლში“ იჯარით გაშვებული **ლოიკ რემის** გაყიდვას გეგმავს. 26 წლის ფრანგი თავდამსხმელი „კაჭკაჭებს“ ზუსტად 2 თვის წინ შეუერთდა და პრემიერლიგაში ჩატარებულ 4 შეხვედრაში 3 გოლის გარდა 1 საგოლე გადაცემა ჩაიწერა აქტივში. რემის გარდა რედნაპი არენდით გაშვებულ არც სხვა მოთამაშეებთან თანამშრომლობას აღარ გეგმავს. ლაპარაკია **ჟი სუნ პარკზე** (ეინდჰოვენი), **ადელ ტაარაბტსა** (ფულჰემი) და **ესტებან გრანეროზე** (სოსიედადი). „რემიმ თავად მოითხოვა „ნიუკასლში“ წასვლის ნებართვა, რასაც ანგარიში გავუწიეთ. იმედია, „სენტ ჯეიმს პარკზე“ მას ყველაფერი გამოუვა. მასზე უკვე აღარ ვფიქრობ. მე მხოლოდ ის ბიჭები მაინტერესებს, ვისთან მუშაობაც ამჟამად მიწევს. ეს ეხება ყველა იმ ფეხბურთელს, ვინც დროებითი კონტრაქტებით არის წასული,“ - განაცხადა რედნაპმა.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა


ლოიკ რემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# მიწაზე მყარად უნდა ვიდგეთ

## გარსიას ზომიერი ოპტიმიზმი


რუდი გარსია ევროსაგზურს უმიზნებს

მართალია, „რომა" ამბიციური გუნდია და მისი წარმატებული ასპარეზობა გაოცებას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ პირველ ადგილს მაინც ცოტა თუ წარმოიდგენდა... დიახ, ჩემპიონატის დაწყებიდან ექვსი ტურია გასული და ბევრისთვის მოულოდნელად, სატურნირო ცხრილს „ჯალოროსი" უდგას სათავეში. ექსპერტთა და ჟურნალისტთა ნაწილი ამას დროებით მოვლენად მიიჩნევს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც რომაული გუნდის ბოლომდე სჯერათ. რას ფიქრობს ამ ყველაფერზე „ჯალოროსის" მთავარი მწვრთნელი **რუდი გარსია**? - ამას ქვემოთ შეიტყობთ.

### წარმატების ფორმულა

*წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა, რადგან ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ ექვსი ტურია გასული. პირველობა კარგად დავიწყეთ, მაგრამ მთავარი გამოცდები წინ გველის. დიდ წარმატებას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ თუ ერთ მუშტად ვიქნებით შეკრულნი. გუნდში აუცილებლად კარგი ატმოსფერო უნდა იყოს, სხვაგვარად წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. საბედნიეროდ, ჩემს განკარგულებაში ისეთი ფეხბურთელები არიან, რომლებსაც ყველა ბარიერის დაძლევა შეუძლიათ.*

### მიზანი

*მიმდინარე სეზონში, ჩვენი მიზანი ევროსაგზურის მოპოვებაა და იმედია, ამოცანას შევასრულებთ. ვიცი, რომ გულშემატკივრები უკვე სკუდეტოზე ფიქრობენ, მაგრამ ჩვენ მიწაზე მყარად უნდა ვიდგეთ. მართალია, რომაული დერბი მოვიგეთ, მაგრამ მთავარ კონკურენტებთან ჯერ კიდევ არ გვითამაშია. „რომას" რეალური ძალა გამოჩნდება „იუვენტუსთან", „ნაპოლისთან", „მილანთან" და „ინტერთან" პაექრობებში. წინ დიდი ბატალიები გველის და არ გვაქვს უფლება, დღეს ტროფეებზე და დიდ გამარჯვებებზე ვიფიქროთ.*

### ფეხბურთელები

*ზემოთაც აღვნიშნე, რომ გვაქვს იმის რესურსი, უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ, თუმცა ამისთვის კიდევ უფრო მომატება და შესაბამისად, გარკვეული დროა საჭირო. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ გუნდში ბევრი უნივერსალური თვისებებით დაჯილდოებული ფეხბურთელი მყავს; თუნდაც მირალემ პიანიჩი ავილოთ, მას ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და თუ საჭირო გახდა, თავდასხმაშიც უპრობლემოდ გაამწესებ. მაგალითად, დანიელე დე როსი კლასიკური ნახევარმცველია, მაგრამ დაცვის ცენტრშიც ხშირად უთამაშია. აღარაფერს ვამბობ ფრანჩესკო ტოტიზე, რომელიც ხშირად საკუთარი ნახევრიდან იწყებს იერიშებს და ამასთან, ბრწყინვალე დამგვირგვინებელია. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად გაგვაძლიერა ადემ ლიაიჩმა, რომელსაც ჟერვინიოს მსგავსად თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც თავდამსხმელად, ისე გარემარბად.*

### ჟერვინიო ბედნიერია

„რომას" კოტ დივუარელმა ახალწვეულმა **ჟერვინიომ** „გაძეტა დელო სპორტს" ვრცელი კომენტარი მისცა და განაცხადა, რომ იტალიურ გუნდში თავს ბედნიერად გრძნობს. შეგახსენებთ, რომ „ჯალოროსიმ" 26 წლის აფრიკელი ფორვარდი ლონდონის „არსენალიდან" გადაიბირა:

*„ვერ გეტყვით რამდენად მოიგო „არსენალმა" ჩემი ტრანსფერით, მაგრამ მე რომ მოგებული დავრჩი, ცხადზე უცხადესია. რომში ვიპოვე ის, რაც მაკლდა და რასაც ამდენი ხანი ვეძებდი. ვთამაშობ დიდებულ გუნდში, რომელსაც საოცარი გულშემატკივრები ჰყავს, თანაგუნდელებთან კი ბრწყინვალე ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. საერთოდ, გუნდში საოცრად კარგი ატმოსფეროა და სწორედ ეს გვეხმარება წარმატების მიღწევაში. ცალკე სალაპარაკო თემაა რუდი გარსია, რომელთანაც შესანიშნავი ურთიერთობა მაკავშირებს. რუდი დიდ დროს უთმობს ფეხბურთელებთან ურთიერთობას, ამან კი არ შეიძლება უარყოფითი, შედეგი გამოიღოს. ტოტი? - ვერასდროს წარმოვიდგენდი თუ მის მხარდამხარ ვითამაშებდი, ის ნამდვილი ლეგენდა და მისაბაძი სპორტსმენია".*

**ლაშა ნიკლაური**

მილანი


გადავა კეისუკე ჰონდა „მილანში"?

# ათიანი ჰონდას

## მილანელთა მაცდური წინადადება

გახსოვთ ალბათ, **კეისუკე ჰონდას** სატრანსფერო საგა, რომელიც ცსკა-დან „მილანში" უნდა გადასულიყო და საბოლოოდ, გარიგება არ შედგა. 27 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ რუსები 5 მილიონ ევროს ითხოვდნენ, რაზეც იტალიელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს - მიზეზი მარტივია, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში იაპონელს არმიელებთან კონტრაქტის ვადა ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. მოკლედ, მალე ჰონდა ჩიტივით თავისუფალი იქნება და იქით წავა, საითაც გული გაუწევს.

„კორიერე დელო სპორტთან" ინტერვიუში კეისუკემ ღიად განაცხადა, „მილანი" ერთ-ერთი ვარიანტია და არაა გამორიცხული, სხვა გუნდში ამოვყო თავიო. ეს ამბავი ჟურნალისტებმა მყისვე აიტაცეს და ჰონდა ხან ინგლისის პრემიერლიგაში გადაიყვანეს, ხანაც გერმანულ ბუნდესლიგაში. თუმცა, გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, ჰონდა მაინც ვერ ასცდება „მილანს" და თუ ჩვენ იტალიელ კოლეგებს დავუჯერებთ, ეს საკითხი უკვე მოგვარებულიც ყოფილა. ლომბარდიელებმა იაპონელს მაცდური წინადადება შესთავაზეს და 10-ნომრიან მაისურს დაჰპირდნენ, რომელიც დღეს ვაკანტურია. დიახ, ამ დროისთვის 10-ნომრიანი მაისური „როსონერიში" არავის აცვია და როგორც ჩანს, მას ჰონდასთვის ინახავენ. ჰონდას სავარაუდო ტრანსფერზე მოკლე კომენტარი კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** გააკეთა:

*„ჰონდას გადაბირება რომ ჩვენ გეგმებშია, ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. იმედია, კეისუკე „მილანზე" შეაჩერებს არჩევანს და შავ-წითელ მაისურს მოირგებს. ჰონდას გადაბირება ჯერ კიდევ ზაფხულს გვსურდა, მაგრამ მოსკოველებმა დიდი თანხა მოითხოვეს".*

**ლაშა ნიკლაური**

მოსაზრება

# რა დროს სკუდეტოა?

„ინტერის" 33 წლის ვეტერანი მცველი **უგო კამპანიარო** „გაძეტა დელო სპორტს" ესაუბრა და განაცხადა, რომ არ მოსწონს „ინტერის" წარმატებებთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი. მართალია, მილანელებმა სერია A-ს ბოლო ტურში ქულები დაკარგეს, მაგრამ მთლიანობაში, „ნერაძურის" სტარტი ზეწარმატებულად შეფასდა - ამასთან, ბევრი უკვე სკუდეტოზეც ალაპარაკდა... ამ ყველაფერზე კამპანიაროს შემდეგი მოსაზრება აქვს:

*„ჩემპიონატის დაწყებიდან ექვსი ტურია გასული და ბევრი უკვე სკუდეტოზე ლაპარაკობს. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გუნდზე და განსაკუთრებით ახალგაზრდა ფეხბურთელებზე. სეზონის ნახევარი მაინც გავიდეს და შემდეგ ვისაუბროთ, რისი მიღწევა შეუძლია ამ „ინტერს". კარგი იქნება, თუ ჩემს რჩევას ჟურნალისტები გაიზიარებენ".*

**ლაშა ნიკლაური**


უგო კამპანიარო

კრივი

# რინგზე უჩაფხუტოდ

ყაზახეთის ყოფილი დედაქალაქი ალმათი 14-26 ოქტომბერს მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. როგორც გაუწყეთ, შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები 8 სპორტსმენით იასპარეზებს. ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დავით ნიკლაურმა** ის ოქტეტი დაასახელა, რომელიც ყაზახეთში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს. ესენი არიან: **სევერიან ჭილაძე** (თბილისი, 62), **ბექა ჭუბაბრია** (ფოთი, 56), **გიორგი გოგატიშვილი** (ფოთი, 60), **ზაალ კვაჭატაძე** (თბილისი, 69), **ჯაბა ხოსიტაშვილი** (თბილისი, 75), **იაგო კიზირია** (ფოთი, 81), **ლევან გულედანი** (თბილისი, 90) და **მიხეილ ბახტიძე** (ქუთაისი, +91). როგორც შევიტყვეთ, შეჯიბრება ახალი წესებით გაიმართება — სპორტსმენები გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან შემოღებული დამცავი ჩაფხუტების გარეშე იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრები, რომელიც ალმათიში 11 ოქტომბერს გაემგზავრება, ბოლო საწვრთნელ შეკრებას დკდ-ს დარბაზში გადის.

**ვაჟა დანელია**


მარცხნიდან: დავით ნიკლაური, ლევან გულედანი, იაგო კიზირია, გიორგი გოგატიშვილი, ავთანდილ ჭუბაბრია, სევერიან ჭილაძე, მიხეილ ბახტიძე, ჯაბა ხოსიტაშვილი და ზაალ კვაჭატაძე

ჭადრაკი

# კომპოზიტორები ბათუმში შეიკრიბნენ


მარცხნიდან პირველი იური აკობია, მესამე - დავით გურგენიძე კონგრესის მონაწილეებთან

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის (პრეზიდენტი **გია გიორგაძე**) ორგანიზებით აჭარის დედაქალაქმა საჭადრაკო კომპოზიტორთა 56-ე მსოფლიო კონგრესს უმასპინძლა. ეს გრანდიოზული ფორუმი ჩვენთან მეორედ (1975 წელს - თბილისში) ჩატარდა. შარშან იაპონიაში გამართულ თავყრილობაზე საქართველომ 2013 წლის კონგრესის მასპინძლობის სურვილი რომ გამოთქვა, რამდენიმე ქვეყანამ მაშინვე მოხსნა თავისი კანდიდატურა ჩვენს სასარგებლოდ. და აი, ბათუმში 33 სახელმწიფოს 170-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. კონგრესმა საჭადრაკო კომპოზიციების შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხების განხილვასთან ერთად რამდენიმე საინტერესო ღონისძიებაც მოაწყო, კერძოდ, გაიმართა საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში 37-ე მსოფლიოს ჩემპიონატი (პირველი ადგილი პოლონელებმა დაიკავეს), სახელოვანი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორების - **გია ნადარეიშვილისა** და **იოსებ კრიხელის** მემორიალები, **დავით გურგენიძის, გივი მოსიაშვილისა** და **ფერად კაკაბაძის** საიუბილეო კონკურსები; საჭადრაკო კომპოზიციებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს დიდოსტატ დავით გურგენიძეს 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მედალი გადაეცა; თბილისელ **იური აკობიას** საჭადრაკო კომპოზიციებში საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. აქვე გთავაზობთ ი. აკობიას ეტიუდს, რომელმაც 2008 წელს ცნობილი უნგრელი დიდოსტატის - პოლ ბენკოს საიუბილეო საერთაშორისო კონკურსში პირველი პრიზი დაიმსახურა:


თეთრები იწყებენ და იგებენ

1.0–0–0! ლf2 2.ეh1 მფg4 3.ლh3+ მფg5 4.ლh6+ მფf5 5.ეh5+ მფe4 6.ლg6+! მფd4 7.ლd6+! მფc4 8.ლd5+ მფc3 9.ეh3+ მფb4 10.a3 შამათი.

კონგრესის მონაწილეებმა საგაისო თავყრილობის ადგილიც აირჩიეს - შვეიცარიული ბერნი, რომელმაც პოლონურ და რუსულ ქალაქებს აჯობა.

**ვაჟა დანელია**

მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მარცხი პირველივე წრეში

**სამწუხაროდ, თურქულ ბელეკში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიოს პირველობაზე გუშინდელი დღე ჩვენთვის წარუმატებელი აღმოჩნდა – პირადშიც და გუნდურშიც პირველივე წრეში ნავაგეთ.**

მოგეხსენებათ, ბელეკში ჩვენგან მხოლოდ ქალთა გუნდი გამოდიოდა. გუშინ დილით პირადი პირველობის პლეი ოფები გაგრძელდა, სადაც ერთადერთი მონაწილე გვყავდა შემორჩენილი – **იულია ლობჟანიძე** და ისიც დასაწყისშივე დამარცხდა რუს **იანა სტეპანოვასთან** – 2:6. არადა, შეხვედრა ლობჟანიძის გამარჯვებით დაიწყო, როცა პირველი სეტი 23:22 მოიგო, მაგრამ მომდევნო სამი დათმო.

ქართველთათვის ფეხბედნიერი ვერც გუნდური ტურნირის 1/8-ედფინალი გამოდგა, სადაც მექსიკელებს ხვდებოდნენ, რომლებსაც შემადგენლობაში ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **აიდა რომანი** და ბრინჯაოს მედალოსანი **მარიანა ავიტია** ჰყავთ. ცხადია, წყვილშიც ფავორიტად „აცტეკები" მიიჩნეოდნენ და გამარჯვება არც გასჭირვებიათ, საკმაოდ დიდი სხვაობით მოუგეს ჩვენებს – 168:154 იმარჯვეს. მათ მომდევნო წრეში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ინდოეთსაც სძლიეს – 195:176 და ნახევარფინალში კორეელებთან 177:181 დამარცხდნენ. გუნდურში ოლიმპიურმა ჩემპიონმა კორეელებმა მეოთხედფინალში ზეპრინციპული პაექრობა მოიგეს – გადასროლაში ჩინელებს სძლიეს. აქ ძირითადი დრო ფრედ – 193:193 დასრულდა, დამატებითში კი ჩინელებს აშკარად აუკანკალდათ ხელი – სამი ისრიდან მხოლოდ 22 ქულა მოაგროვეს. კორეელებმაც გვარიანი ხარვეზებით ისროლეს და მთლად უნაკლონი არც ისინი ყოფილან, მაგრამ მათზე მეტი – 26 ქულა მაინც დააგროვეს და ფინალისკენაც გააგრძელეს გზა.

მას შემდეგ, რაც გუნდურის პლეი ოფში ჩინეთი, კორეა, **დეეპიკა კუმარის** ინდოეთი და მექსიკელები ბადის ერთ მხარეს მოხვდნენ, მეორე ნახევრიდან ფინალში შედარებით სუსტის გასვლა გარანტირებული იყო, თუმცა იქ ბელარუსთა ხილვას თვით მათი ქომაგებიც კი ნაკლებად წარმოიდგენდნენ. არანაკლებ გასაოცარია ნახევარფინალური წყვილიც – ბელარუსი-დანია, სადაც პოსტსაბჭოელებმა 170:166 იმარჯვეს. **ჰანა მარუსავას, ეკატერინა ტიმოფეიევას** და **ალენა ტოლკაჩის** ბელარუსულმა ტრიომ მანამდე ჯერ გერმანელებს დააყარევინა ფარ-ხმალი (175:166), მერე კი ბრიტანელებს 180:172 მოუგო. კუნძულელები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ალისონ ვილიამსონის** გარეშე ასპარეზობენ, რომელმაც სასროლეთიდან მშვილდოსნობის მსოფლიოს ფედერაციის ათლეტთა კომისიის თავკაცის პოსტზე გადაინაცვლა, თუმცა უიმისოდ დარჩენილ ბრიტანელებს პირველ წრეში რუსთა ძლევა მაინც არ გასჭირვებიათ - 181:171. არანაკლებ მძიმე გზა განვლეს დანიელებმაც – ჯერ ოლიმპიურ პრიზიორ **ხათუნა ლორიგით (ქვრივიშვილი)** გაძლიერებული აშშ ჩამოიცილეს (188:169), მერე კი ჩინური სკოლის განაყოფ ტაივანსაც სძლიეს (191:185). მანამ ტაივანელებმა კოლუმბიელები 174:155 დაამარცხეს, რომლებსაც არ ჰყავდათ სარქალი - მსოფლიოს ჩემპიონი **ალისე ასტრიდ ვან ლემოენი**, რომელმაც ორი წლის წინ ანალოგიური ტურნირის ფინალში **ქრისტინე ესებუა** დაგვიმარცხა.

ამდენად, 6 ოქტომბერს საჩემპიონო ფინალში კორეელები ბელარუსებს შეხვდებიან, ბრინჯაოს მედლისთვის კი მექსიკა და დანია იასპარეზებენ.

დანიელთა გუნდური წარმატება იქნებ ლოგიკურიც იყოს იმ ფონზე, რომ ქალთა ინდივიდუალურში მათი თანაგუნდელი **მაია ჯაგერი** ფინალში გავიდა. თან მეოთხედფინალში გზიდან ბოლო პერიოდში ლამის დაუმარცხებელი კორეელთა ოლიმპიური ჩემპიონი (პირადშიც და გუნდურშიც) **ბო ბაე კი** ჩამოიცილა – 6:5 დამატებითში, ნახევარფინალში კი მეორე კორეელს, პირადში პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანს, გუნდურში კი ჩემპიონ **ოკ ჰეე იუნსაც** აჯობა – 7:3. საერთოდ, კორეელი დიაცები ინდივიდუალურში ცუდად გამოვიდნენ – მაქსიმუმ, 6-ში ბრინჯაო მოიპოვონ, ფინალში კი მათთვის არასასურველი ჩინელი **ჯინ ხუ** გავიდა. ამდენად, 6 ოქტომბერს ის ოქროსთვის ჯაგერს შეხვდება, ბრინჯაოსთვის კი ერთმანეთს კორეელი იუნი და გერმანელი **კარინა ვინტერი** შეეცილებიან.

დასასრულ, ვაჟთა ტურნირზეც ვთქვათ, სადაც გუნდურის ფინალში ასევე 6-ში ჰოლანდია და აშშ ისვრიან. ოლიმპიურმა ჩემპიონმა იტალიამ მეოთხედფინალში ფრანგებთან ჩაიჩოქა – 187:191, ლონდონური ვერცხლის მფლობელმა აშშ-მა კი ნახევარფინალში საფრანგეთი, მანამდე კი ავსტრალია და უკრაინაც გამოაგდო. ჰოლანდიელებმა ნახევარფინალში იაპონიასთან ბრძოლით დაღლილ კორეელებს 193:191 მოუგეს, ხოლო იქამდე მალაიზია და კანადა დაჯაბნეს. 6-ში ბრინჯაოსთვის კორეა საფრანგეთს შეხვდება.

გუნდურისგან განსხვავებით, ინდივიდუალური მთლიანად კორეელთა კარნახით მიდის – შესარჩევში ხომ სამეულშიც მხოლოდ ისინი შევიდნენ, ფინალშიც იქაურები არიან – ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ამჯერად საკვალიფიკაციოს მომგები **ჰიეკ ონ ჯინი** და **სეუნგიუნ ლეე**, რომელმაც 1/16-ედფინალში უკრაინელთა პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული **ვიქტორ რიბანი** დაამარცხა. მესამე კორეელი – **ხიახიან დაი** ბრინჯაოსთვის ისვრის, სადაც კანადელ **კრისპინ დუანესს** შეხვდება. თან გავითვალისწინოთ, რომ ამჯერად კორეელებს არ ჰყავდათ ოლიმპიური ჩემპიონი **ვოოჯინ კიმი**.



**ირაკლი თავაძე**

მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# ოლიმპიური იმედი ჩინეთში

13-20 ოქტომბერს ჩინურ ვუქსში გაიმართება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, სადაც გაისად ისევ ჩინეთშივე, ოლონდ ნანჯინგში გასამართი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საგზურები უნდა გაიცეს. ვუქსში სალიცენზიო ტურნირი ძირითადი შეჯიბრებისგან ცალკე, დამოუკიდებლად ჩატარდება და საგზურს 27-27 ქვეყანა (და არა მონაწილე) მიიღებს, ოლონდ ერთ ქვეყანაზე მხოლოდ თითო-თითო გაიცემა გოგოებშიც და ბიჭებშიც. ანუ ყველა გუნდი მაქსიმუმ ორს მიიღებს.

ვუქსში 4 ქართველი მოზარდი იასპარეზებს. მათ შორის სამი თბილისელია – **ვლადიმერ დოლიძე, დავით მიხელიძე, ნინო ჯვარშეიშვილი**, ერთიც ბათუმელი – **ანა დუმბაძე**. ჩვენები ამჟამად ურეკში გადიან შეკრებას, ჩინეთში კი 10 ოქტომბერს გაფრინდებიან. გუნდის მომზადება თავის თავზე ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აიღო, რაკი ეს „თბილისი-2015" საფესტივალო ასაკია. მოზარდებს მათვე შეუძინეს ახალი მშვილდები, რომელსაც უახლოეს დღეებში მიიღებენ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია, რომ ობიექტური მიზეზით და თავად სეოკ-ისგან დამოუკიდებლად, ეს კეთილი საქმე ცოტა დაგვიანდა და სპორტსმენებს იარაღის გამოცდა უშუალოდ შეჯიბრებაზე მოუწევთ.

**ირაკლი თავაძე**

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

ანონსი, ანონსი, ანონსი...

## ხვალიდან, ყოველ შაბათს...

ხვალიდან, „ლელოს" ყოველი შაბათის ნომერს განსაკუთრებით საინტერესო მასალებით დატვირთულს მიიღებს ჩვენი გაზეთის მკითხველი.

ხვალ „ლელოში" გაეცნობით „პირველ მერცხალთა ამბავს". ფაქტი, რომელსაც ავტორი **მიხეილ ლაბაძე** გვთავაზობს, ახალი სიტყვაა ქართული რაგბის ისტორიაში.

ჟურნალისტმა **გაბრიელ ბარჯაძემ** შემთხვევით გაიცნო უკრაინაში მცხოვრები ქართველი ვეტერანი მოჭიდავე **გარსევან ნებიერიძე**, რომელიც სამჯერ (1958, 1960, 1961 წლის) გამხდარა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. თავის დროზე კი თურმე ჩვენს დიდ მწვრთნელ **ნოდარ დუმბაძესაც** დასჭიდებია... თუ რა ამბით ჩვენმა უკრაინელმა თანამემამულემ ჟურნალისტს, ამასაც „ლელოს" ხვალინდელ ნომერში გაეცნობით.

შეიტყობთ, აგრეთვე, ფეხბურთის მოყვარულთათვის უდავოდ საინტერესო საჩუქრის - **გულბათ ტორაძის** წიგნის, „ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში", გამოცემის შესახებ. თავისუფალ დროს დაუთმობთ ვიქტორინას, კროსვორდს, საჭადრაკო ამოცანის ამოხსნას...

ჭადრაკი

# გაიმაუჩის წინ

**8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე, რომელსაც ბუდვა (ჩერნოგორია) მასპინძლობს, გუშინ მე-5 ტურის პაექრობები გაიმართა. გაუწყებთ ასაკის მიხედვით ქართველთა შეხვედრების შედეგებს:**

**8-წლიანები: თამარ თასოშვილი**-ევაგელია კარაპიტაკი (საბერძნეთი) 1:0, ემილია ზავივაუკა (რუსეთი)-**ლილე გუმბერიძე** 0:1, ევა სტეფანიანი (რუსეთი)-**დიანა ლომაია** 1:0; იაუჰენი აბრაზევიჩი (ბელარუსი)-**დავით სიბაშვილი** 0:1, კონსტანტინ პლესკა (მოლდოვა)-**ლევან დალბაშვილი** 0.5:0.5, **გიორგი ლომინაძე**-ლუკა ვაუპოტი (სლოვენია) 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ: თასოშვილი-4, გუმბერიძე-3.5, ლომაია-2; სიბაშვილი-4, დალბაშვილი-3, ლომინაძე-2.5 ქულა.

**10-წლიანები.** ელიზავეტა სოლოჟენკინა (რუსეთი)-**თამარ ესაძე** 1:0, **ნიკოლოზ კაჭარავა**-ხან დუ (ავსტრია) 1:0, **აკაკი ლაჭავა**-არა მარტიროსიანი (ჩეხეთი) 0,5:0,5, ერნესტ მისიუკი (ლიტვა)-**ნიკა კევლიშვილი** 0:1.

ესაძე-3.5; კაჭარავა-3.5, კევლიშვილი-3, ლაჭავა-2.5 ქულა.

**12-წლიანები. ლილე ქორიძე**-ელენე კოს**ტავა** 0:1, **სალომე სანიკიძე**-ელენ ფრედერიკა (დანია) 0:1; **ლუკა ობოლაძე**-შიმონ გუმულარი (პოლონეთი) 0:1, **მათე თოდაშვილი**-სტანისლაუ არტსიომაუ (ბელარუსი) 0:1, **ნიკოლოზ პეტრიაშვილი**-კასპერ შოპენი (ჰოლანდია) 1:0.

კოსტავა-3.5, ქორიძე-2.5, სანიკიძე-2; ობოლაძე, პეტრიაშვილი-2.5-2.5, თოდაშვილი-2 ქულა.

**14-წლიანები. თეა ჭოლაძე**-გუნაი მამაზადა (აზერბაიჯანი) 0.5:0.5, კაროლინ გასკე (გერმანია)-**ნინო ჯალაღონია** 0:1; არნო სტერკი (ბელგია)-**გიორგი თავზარაშვილი** 1:0.

ჭოლაძე-4.5, ჯალაღონია-2.5; თავზარაშვილი-1.5 ქულა.

**16-წლიანები. მარიამ ჭოლაძე**-კატარზინა ზედროჩა (პოლონეთი) 1:0; ტიტას სტრემიავიჩუსი (ლიტვა)-**ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 1:0, **გიორგი სიბაშვილი**-ვალიანტსინ იეზელი (ბელარუსი) 1:0.

ჭოლაძე-3; სიბაშვილი-3.5, ქუმსიაშვილი-2.5 ქულა.

**18-წლიანები.** ალინა ბივოლი (რუსეთი)-**ნატო იმნაძე** 0.5:0.5, ლიდია ტომნიკოვა (რუსეთი)-**ანა შამათავა** 1:0, სტელიტა-ჯორჯინა მორეა (რუმინეთი)-**ანა კუჭავა** 0:1; **ირაკლი ბერაძე**-პიერ ბარბოტი (საფრანგეთი) 1:0, **ალექსანდრე ებრალიძე**-მატეი ბლაზეკა (ხორვატია) 0:1.

იმნაძე, კუჭავა-3.5:3.5, შამათავა-2.5; ბერაძე-4, ებრალიძე-2 ქულა.

ევროპის პირველობის მონაწილენი დღეს დაისვენებენ, ხვალ მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# ნინო ისევ დაწინაურდა

ვროცლავში (პოლონეთი) მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-6 ტურში **ნინო ბაციაშვილმა** ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) დაამარცხა და ისევ ერთპიროვნულად დაწინაურდა. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დასრულდა: იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი)-**სოფიკო გურამიშვილი** 0:1, საბრინა გუტიერეს ვეგა (ესპანეთი)-მარტა მიხნა (გერმანია) 1:0. დაზავდნენ: მონიკა სოჩკო (პოლონეთი)-კარინა ჰოროვსკა, ეკატერინა ატალიკი (თურქეთი)-იოანა მაიდანი-გაიევსკა (პოლონეთი).

ექვსი ტურის შემდეგ: ბაციაშვილი-4.5, მაიდანი-4, სოჩკო, გურამიშვილი-3.5-3.5, ატალიკი, ჰოროვსკა, ვეგა-3-3, მკრტიჩიანი, ზავადსკა-2.5-2.5, მიხნა-0.5 ქულა.

დღეს ითამაშებენ: გურამიშვილი-ბაციაშვილი, მიხნა-ზავადსკა, მაიდანი-ვეგა, ჰოროვსკა-ატალიკი, მკრტიჩიანი-სოჩკო.

**ვაჟა დანელია**

დედე დადიანის მემორიალი

**A ჯგუფი**
შსს აკადემია
ქუთაისი
სოხუმი

**B ჯგუფი**
ოლიმპი
არმია
რუსთავი

5 ოქტომბერი
შსს VS სოხუმი 16:00
ოლიმპი VS რუსთავი 18:00

6 ოქტომბერი
არმია VS რუსთავი 16:00
ქუთაისი VS სოხუმი 18:00

7 ოქტომბერი
შსს VS ქუთაისი 15:00
ოლიმპი VS არმია 17:00

8 ოქტომბერი
ა-3 VS ბ-3
ა-2 VS ბ-2

9 ოქტომბერი. ფინალი
ა-1 VS ბ-1 18:00

თარიღები და მოვლენები

## 04 - 06 ოქტომბერი

**04. 1938.** თბილისის „დინამომ" ფეხბურთელთა გუნდმა ლენინგრადის ?პარტაკთან მატჩის შედეგი გააპროტესტა. („სპარტაკმა" 1:0 მოიგო). დინამოელთა მტკიცებით არბიტრმა სამი წუთით ადრე დაასრულა ასპარეზობა. პროტესტი დააკმაყოფილეს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ლენინგრადელებმა გაასაჩივრეს და შედეგი ძალაში დარჩა

**04. 1970.** დაიბადა **ვლადიმერ დგებუაძე** - ძიუდო

**05. 1947.** დაიბადა **გურამ მოდებაძე** - რაგბი. გარდაიცვალა 2012 წელს

**05. 1975.** დაიბადა **შალვა ხუჯაძე** - ფეხბურთი

**05. 1991.** დაიბადა **თორნიკე შენგელია** - კალათბურთი

**05. 2008.** საქართველოს ნაკრებმა ძიუდოისტთა მსოფლიოს გუნდური თასი და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა

**06. 1981.** დაიბადა **ზურაბ ხიზანიშვილი** - ფეხბურთი

**06. 1893.** დაიბადა **სანდრო კანდელაკი** - ჭიდაობა. გარდაიცვალა 1959 წელს

**06. 1989.** დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

**06. 2001.** ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩი 1:1 ითამაშა

**06. 2007.** პრალაში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე **ზვიად ბაზანდარაშვილმა (73 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# სატურნირო ცხრილის ლოგიკური სახე

**საქართველოს ჩემპიონატში ოთხი ტური მიილია. სწორედ ამდენი ტურის გამართვა დასჭირდათ გუნდებს, რათა სატურნირო ცხრილს მეტ-ნაკლებად ლოგიკური სახე მიეღო. მოწინავე ოთხეულში ის გუნდები არიან, ვინც უნდა იყვნენ. ერთადერთი უჩვეულო მხოლოდ „არმიას" მეექვსე ადგილია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ გუნდს ერთი თამაში გამოტოვებული აქვს და პოტენციურად ერთ-ერთი ლიდერია.**


ლოკომოტივი-არმია

გათამაშების სატურნირო ცხრილს სათავეში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ლელო" მოექცა, რომელმაც სტარტზე „ყოჩებთან" განცდილი მარცხის შემდეგ ძალების მობილიზება შეძლო და ზედიზედ სამი თამაში მოიგო, თანაც ისე, რომ სამივეში პრემიალური ქულა მიითვალა.

„ლელოს" საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს. ტრავმის გამო ვერ თამაშობს მგეზავი **ლაშა ხმალაძე.** ის, შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებსაც დააკლდეს ნოემბრის ტესტებზე, რაც „ბორჯღალოსნებისთვის" ასევე პრობლემატურია. მიუხედავად ამისა, „ლელო" მაინც ახერხებს წინსვლას. მართალია, უკანა ხაზი „ქოქოსას" არყოფნაში ძველებურად ვერ ირჯებოდა, მაგრამ მე-4 ტურის მატჩში, სტუმრად „ბათუმთან" თავისი თამაში მაინც იპოვა და ოთხი ლელოდან ოთხივე უკანახაზელების ანგარიშზეა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ გუნდის მრავალფეროვან სტილსა და საკმაოდ მაღალ პოტენციალზე.

„ლელოს" ერთი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა თბილისის „არმაზი", რომელსაც ასევე სამი მოგება აქვს ოთხი თამაშიდან. არმაზელების ასეთი წინსვლა, ცხადია, ადვილად პროგნოზირებადი იყო. გუნდი შარშანაც სოლიდურად გამოიყურებოდა და, ახლა, როცა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** დაიმატა, კიდევ უფრო მრისხანე და ღონიერი გახდა.

არმაზელები, წესით, ახლა დაუმარცხებელნი უნდა იყვნენ, რომ არა მათი მწვრთნელების ტაქტიკური შეცდომა მესამე ტურში „ჯიქებთან" მატჩში. ამჯერად, **დავით ვართანიანმა** ყველაფერი სწორად გათვალა და მოღონიერებული ბოლნისის „ყოჩები" მძიმე ბრძოლაში დაამარცხა. ამ მატჩის გმირი მგეზავი **დავით კიკნაძე** იყო, რომელმაც გუნდს 23 ქულიდან 18 მოუტანა (ერთი ლელო, ორი გარდასახვა და სამი საჯარიმო). მას შესანიშნავ ასისტენტობას უწევდა აბუსერიძე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცხრა და ათი ნომრების ასეთი ძლიერი და გამოცდილი დუეტი არც ერთ გუნდს არ ჰყავს. ეს კი, „არმაზის" წარმატების ერთ-ერთი საწინდარია.

ზუსტად იდენტური მაჩვენებელი აქვს ქუთაისის „აიას", რომელიც 14 ქულით მესამე ადგილზეა, თუმცა მოპოვებული და მიღებული ქულების სხვაობა „არმაზთან" შედარებით ნაკლები აქვს. ქუთათურებმა ერთხელ წაიფორხილეს შინ თბილისის „ლოკომოტივთან", რომელიც ნელ-ნელა კრეფს სიჩქარეს. „აიას" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველწლიური დანაკარგის მიუხედავად, მუდმივად ახერხებს ენერგიის, ძალების მობილიზებას და ლიდერთა შორის ყოფნას, რასაც, ცხადია, ქუთაისის სარაგბო სკოლის დიდი ტრადიციები და შესანიშნავად დაყენებული საქმეც უწყობს ხელს.

ქუთათურთა ძლიერი მხარე ყოველთვის მძიმე და საკმაოდ დინამიკური შერკინება იყო. ამ კომპონენტში გუნდი არც ამჟამად მოიკოჭლებს, თუმცა ნელ-ნელა „აიას" უკანა ხაზი პროგრესს აღწევს და მთავარ დამრტყმელ ძალად ყალიბდება. ამ გუნდის უკანახაზელები საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების წევრები და „ბორჯღალოსანთა" რიგებში ჩარიცხვის კანდიდატები არიან.

„აიამ" მე-4 ტურში უმძიმესი და უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო სტუმრად ახალგაზრდა, მებრძოლ და ძალიან ამბიციურ თბილისის „ჯიქებთან", რითაც დაამტკიცა, რომ ქუთაისში რკინიგზელებთან განცდილი ერთადერთი მარცხი შემთხვევითობა იყო.

სამაგიეროდ, საპირისპირო დაამტკიცა „ლოკომოტივმა". რკინიგზელებმა ქუთაისურ ტრიუმფს ავჭალური მოუნაცვლეს და სრულიად მოულოდნელად, ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი „არმია" დაამარცხეს. თანაც ისე, რომ მათ გამარჯვებაში ორი ტაიმის განმავლობაში ძნელად თუ ვინმე შეიტანდა ეჭვს.

აღსანიშნავია, რომ „ლოკომოტივი" სეზონის წინ ლიდერებმა დატოვეს და სწორედ „არმიაში" გადაბარგდნენ. ეს მისია კი, ამჯერად, საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **ბექა წიკლაურმა** იტვირთა, რომელიც დიდი ხანია პერსპექტიულ, იმედისმომცემ მორაგბედ ითვლება და, როგორც ჩანს, „წიკო" თავისი პოტენციალის რეალიზებას იწყებს. ის სწრაფი, მოუხელთებელი მოთამაშეა, შესანიშნავად თამაშობს ფეხით, რაც მისი ამპლუის მორაგბისთვის ძალიან დიდი პლუსია.

„ლოკომოტივი", მართალია, ლიდერს სამი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ოთხი თამაშიდან მის მსგავსად მხოლოდ ერთი წააგო და სერიოზული განაცხადი გააკეთა პლეი ოფში გასვლაზე. აღსანიშნავია, რომ რკინიგზელებმა საწყის ოთხ ტურში ყველა მატჩი ლიდერებთან გამართეს. ესენია: „ჯიქები", „არმაზი", „აია" და „არმია". მომდევნო ტურში კი, მეტოქე არანაკლებ მძიმე, „ლელო" იქნება.

ცხადია, სათვალავიდან არ უნდა გამოვრიცხოთ „არმია. დარწმუნებული ვართ, ამ გუნდის მწვრთნელები სათანადო დასკვნებს გააკეთებენ და მომავალში ბევრად მობილიზებულ, უკეთ ორგანიზებულ და მეტი ჟინით მოასპარეზე „არმიას" ვიხილავთ. მით უფრო, რომ **ნიკოლოზ ჭავჭავაძის** სამწყსო, სხვებთან შედარებით უკეთაა დაბალანსებული.

შარშანდელი სეზონის აღმოჩენას - თბილისის „ჯიქებს" ფატალურად არ უმართლებს. ამ ახალგაზრდა და ბოლომდე მებრძოლ გუნდს წლეულს ჯერ კიდევ არ ჰყოფნის საიმისო გამოცდილება, რომ ლიდერად ჩამოყალიბდეს. ცხადია, ამას მეტი დრო და გარჯა სჭირდება, რაც ამ გუნდის მორაგბეებს სულაც არ ეზარებათ. სეზონის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ წინაა და ადვილი შესაძლებელია, ეს გუნდი პლეი ოფის მონაწილეთა შორის მაინც ვიხილოთ.

უმძიმესი ბრძოლაა მოსალოდნელი სატურნირო ცხრილის ბოლო სამ ადგილზე „მოკალათებულ" გუნდებს შორის. „ხარები", „აკადემია" და „ბათუმი" სხვებთან შედარებით ოდნავ სუსტად გამოიყურებიან, თუმცა თამაშის ხარისხის და, შესაბამისად, მდგომარეობის შეცვლის შანსი სამივეს თანაბრად გააჩნია.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | +63 | 15 |
| 2. არმაზი | 4 | 3 | 0 | 1 | +40 | 14 |
| 3. აია | 4 | 3 | 0 | 1 | +13 | 14 |
| 4. ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | +3 | 12 |
| 5. ყოჩები | 4 | 2 | 1 | 1 | +20 | 11 |
| 6. არმია | 3 | 2 | 0 | 1 | +27 | 9 |
| 7. ჯიქები | 4 | 1 | 1 | 2 | -2 | 8 |
| 8. ხარები | 3 | 0 | 0 | 3 | -53 | 1 |
| 9. აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | -55 | 1 |
| 10. ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | -56 | 0 |

**V ტური**

ყოჩები-ხარები, აია-არმაზი, არმია-ჯიქები, ლელო-ლოკომოტივი, აკადემია-ბათუმი.


ყოჩები-აკადემია

მსოფლიოს თასი 2015




# ბეკეკა შონი

2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების თილისმა პოპულარული სერიალის პერსონაჟი „ბეკეკა შონი" გახდა. ეს სერიალი მსოფლიოს 170 ქვეყანაში გადაიცემა და სოციალურ ქსელებში, კერძოდ კი, „ფეისბუკზე" 3 მილიონი თაყვანისმცემელი ჰყავს. ტურნირის ორგანიზატორებმა ჩათვალეს, რომ ის იდეალურად მიესადაგება მსოფლიოს თასის თილისმის როლს.

*„ბეკეკა შონი მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. იმედი გვაქვს, რომ მისი მსოფლიოს თასის თილისმად გამოცხადებით, არა მარტო სპორტის მოყვარულებს, არამედ უამრავ ბავშვსა და მათ მშობლებსაც დავაინტერესებთ, რათა რაგბის დიდ ოჯახში გაერთიანდნენ"* - თქვა იდეის ავტორმა **შონ კლარკმა.**

ცხადია, მოვლენას რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასეც** გამოეხმაურა:

*„ჩვენ პატივი გვაქვს, მივესალმოთ „ბეკეკა შონს" 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაზე. ეს ტურნირი, რომელსაც უამრავი ადამიანი მთელ მსოფლიოში მოუთმენლად ელის, თავისი მასშტაბით მესამეა უდიდეს სპორტულ ღონისძიებათა შორის. ცხადია, „ბეკეკა შონის" ამ პროცესში ჩართვა რაგბის მიმართ ბევრი ბიჭუნასა და გოგონას ყურადღებას გაზრდის, რაც საბოლოოდ მას მეტ პოპულარობას მოუტანს და, შესაბამისად, რაგბის პოტენციალიც გაიზრდება".*

შეჯიბრების ორგანიზატორები და იდეის ავტორები მომდევნო თვეში „ბეკეკა შონის" კიდევ უფრო აქტიურად გამოყენებისთვის გაირჯებიან. კერძოდ, მათ უნდა მოძებნონ კომპანია, რომელიც დათანხმდება 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების თილისმა გადაიტანოს ტანსაცმელზე, საკანცელარიო საქონელსა და საჩუქრებზე.

ერთი სიტყვით, პრაგმატული ინგლისელები უკვე ფულის საკეთებლად შრომობენ. თავად განსაჯეთ, თუ ბეკეკა შონს სამი მილიონი თაყვანისმცემელი ჰყავს მთელ მსოფლიოში, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი შემოსავალი შეიძლება მიიღონ შეჯიბრების ორგანიზატორებმა.

საქართველოს ჩემპიონატი

# პლეი ოფის ოთხეული თითქმის გარკვეულია

**ჭაბუკთა A ლიგაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ პლეი ოფის მონაწილეთა ვინაობა პრაქტიკულად გარკვეულია.**

A ჯგუფში ორი ლიდერია, თბილისის „აკადემია" და რუსთავის „ხარები". აკადემიელები დღემდე დაუმარცხებელნი არიან და დიდი შანსია, ტურნირი ისე დაასრულონ, არც წააგონ. „აკადემიას" სიძლიერე მორიგი ტურის მატჩშიც გამოჩნდა, როცა თბილისის „ყოჩები" დიდი ანგარიშით 78:0 დაამარცხა.

აკადემიელებს 46 ქულა დაუგროვდათ. მათ რვა ქულით ჩამორჩება „ხარები", რომელიც თავის მხრივ 12 ქულით უსწრებს „არმიას" და ნაკლებად სავარაუდოა, ეს უპირატესობა გაანიავოს. რუსთაველებმა სტუმრად დაამარცხეს ჯგუფის აუტსაიდერი ქიათურის „იმერეთი" - 48:0. „არმია" მე-14 ტურში ისვენებდა.

B ჯგუფში პლეი ოფის საგზურის მოპოვების რეალური შანსი აქვთ თბილისის „ჯიქებს" და ქუთაისის პირველ გუნდს. მათ დავაში შესაძლოა თბილისის „ლოკომოტივიც" ჩაერიოს, რომელიც მეორეადგილოსან ქუთაისურ გუნდს ცხრა ქულით ჩამორჩება. თუმცა, ძნელი დასაჯერებელია რკინიგზელებმა ქუთათურები უკან მოიტოვონ, რადგან იმერლები ჯერაც დაუმარცხებელნი არიან და „ლოკომოტივზე" ერთი თამაშით ნაკლები აქვთ გამართული.

ამასთან ერთად, რკინიგზელების წინსვლა გათამაშების ლიდერმა „ჯიქებმა" შეაჩერა, როცა მე-14 ტურში 24:18 დაამარცხა. ქუთაისის პირველმა გუნდმა კი, ამ დროს სტუმრად მოუგო თბილისის „წიქარას" - 93:13.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

**XIV ტური**

ყოჩები-აკადემია 0:78, ხულიგანა-ვეფხვები 32:0, იმერეთი-ხარები 0:48.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 46 ქულა, 2. ხარები - 38, 3. არმია - 26, 4. ხულიგანა - 26, 5. ყოჩები - 19, 6. ვეფხვები - 4, 7. იმერეთი - 2.

**XV ტური**

ხარები-ყოჩები, ვეფხვები-იმერეთი

**B ჯგუფი**

**XIV ტური**

წიქარა-ქუთაისი 1 13:93, ჯვაროსნები-ლელო 0:53, ლოკომოტივი-ჯიქები 18:24.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯიქები - 50 ქულა, 2. ქუთაისი 1 - 47, 3. ლოკომოტივი - 38, 4. ლელო - 31, 5. არმაზი - 28, 6. ჯვაროსნები - 6, 7. ტაო - 5, 8. წიქარა - ს5.

**XV ტური**

ლელო-ლოკომოტივი, ქუთაისი 1-ჯვაროსნები, ტაო-არმაზი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი



# ტაიფუნის მოლოდინში

## კორეის გრანპრი ჩაშლის პირასაა

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი - კორეის გრანპრი, რომელიც უახლოეს უქმეებზე უნდა გაიმართოს, ჩაშლის პირასაა, - ასეთ ინფორმაციას ავრცელებს ბრიტანული გაზეთი Daily Mail.

საქმე ისაა, რომ იონამის ავტოდრომს ტაიფუნი უახლოვდება, რომელსაც "ფიტოუ" დაარქვეს. ტაიფუნს თან ახლავს ძლიერი წვიმები და ქარი საათში 170 კილომეტრის სიჩქარით. თან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტრეკი ზღვასთან ახლოს, ჭაობის გრუნტზეა დაგებული და არის დატბორვის საშიშროება.

სხვათა შორის, სამი წლის წინ, კორეის სადებიუტო გრანპრიზე რბოლა ერთი საათით იყო შეწყვეტილი ძლიერი წვიმის გამო.

რაც შეეხება მომავალი ეტაპის სპორტულ მხარეს, სინგაპურში **სებასტიან ფეტელის** დაუჯერებელი დომინირების შემდეგ, ბუკმეიკერებს არაფრის გაგონება არ სურთ იმის თაობაზე, რომ ჩემპიონატში სხვა მრბოლელებიც არიან. კორეულ ეტაპზე სებას კარგი სტატისტიკა აქვს: ორი მოგება და ერთი გამოვარდნა ძრავის გაუმართაობის გამო. ასე რომ, მოსალოდნელი წვიმა ფაქტობრივად ერთადერთი ფაქტორია, რამაც გერმანელს შეიძლება ხელი შეუშალოს გამარჯვებაში.

**კორეის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** იონამი (კორეა)
**წრის სიგრძე:** 5 615 მ
**წრის რეკორდი:** 1:39,605 (სებასტიან ფეტელი, 2011)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (Red Bull) - 247 ქულა
2. ალონსო (Ferrari) - 187
3. ჰემილტონი (Mercedes) - 151
4. რაიკონენი (Lotus) - 149
5. უებერი (Red Bull) - 130
6. როსბერგი (Mercedes) = 116
7. მასა (Ferrari) - 87
8. გროსჟანი (Lotus) - 57

**უქმეების განრიგი**

4 ოქტომბერი, 05:00 - I პრაქტიკა
4 ოქტომბერი, 09:00 - II პრაქტიკა
5 ოქტომბერი, 06:00 - III პრაქტიკა
5 ოქტომბერი, 09:00 - კვალიფიკაცია
6 ოქტომბერი, 10:00 - რბოლა

■ ■ ■

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მე-11 ეტაპს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი გააჩნია: ჯერ ერთი, ყველა ელოდება **სებასტიან ოჟიესგან** პირველი ტიტულის გაფორმებას და მეორე: ბოლო ეტაპს ჩაატარებს რალიში მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ფრანგი **სებასტიან ლოები.**

**საფრანგეთის რალი**

**შტაბი:** სტრასბური (საფრანგეთი)
**საფარი:** ასფალტი
**სპეცმონაკვეთების რაოდენობა:** 20
**დისტანცია:** 312.14 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. ოჟიე (Volkswagen) - 212 ქულა
2. ნოივილი (Ford) - 129
3. ლატვალა (Volkswagen) - 110
4. ჰირვონენი (Citroen) - 103
5. სორდო (Citroen) - 96
6. ოსტბერგი (Ford) - 77
7. ლოები (Citroen) - 68
8. პროკოპი (Ford) - 49

მოტოსპორტი



# გაისად 19 გრანპრი

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს 2014 წლის სეზონის წინასწარი კალენდარი.

ისევე როგორც 2013 წელს, პირველობა კატარში დაიწყება, ბოლო რბოლა კი ვალენსიაში გაიმართება. ეტაპების საერთო რაოდენობა ცხრამეტამდე გაიზარდა.

კალენდრის მიმდინარე ვერსია ასე გამოიყურება:

23 მარტი - კატარის გრანპრი
13 აპრილი - ამერიკის გრანპრი
27 აპრილი - არგენტინის გრანპრი
4 მაისი - ესპანეთის გრანპრი
18 მაისი - საფრანგეთის გრანპრი
1 ივნისი - იტალიის გრანპრი
15 ივნისი - კატალონიის გრანპრი
28 ივნისი - ჰოლანდიის გრანპრი
13 ივლისი - გერმანიის გრანპრი
10 აგვისტო - ინდიანაპოლისის გრანპრი
17 აგვისტო - ჩეხეთის გრანპრი
31 აგვისტო - ბრიტანეთის გრანპრი
14 სექტემბერი - სან მარინოს გრანპრი
21 სექტემბერი - არაგონის გრანპრი
28 სექტემბერი - ბრაზილიის გრანპრი
12 ოქტომბერი- მალაიზიის გრანპრი
19 ოქტომბერი - იაპონიის გრანპრი
26 ოქტომბერი - ავსტრალიის გრანპრი
9 ნოემბერი - ვალენსიის გრანპრი

კალათბურთი

# სერგეი ბელოვი აღარ არის

## რუსულმა კალათბურთმა ლეგენდა დაკარგა

გუშინ, რუსეთის ქალაქ პერმში 70 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი **სერგეი ბელოვი.** სიკვდილის მიზეზი არ გამოცხადებულა.

ბელოვმა პროფესიული კარიერა სვერდლოვსკის „ურალმაშში" დაიწყო, 1967-80 წლებში მოსკოვის ცსკა-ში გამოდიოდა, რომლის რიგებშიც 11-ჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული.

სსრკ-ის ნაკრების რიგებში კალათბურთელმა 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა (აშშ-სთან ისტორიულ ფინალურ მატჩში მან 20 ქულა მოაგროვა), აგრეთვე ბრინჯაოს მედლები მიიღო 1968 წელს მეხიკოს, 1976 წელს მონრეალისა და 1980 წელს მოსკოვის თამაშებში. გარდა ამისა, ბელოვი ორჯერ იყო მსოფლიოს და ოთხჯერ ევროპის ჩემპიონი.

1993-98 წლებში, სერგეი ბელოვი სათავეში ედგა რუსეთის კალათბურთის ფედერაციას, აგრეთვე ავარჯიშებდა ეროვნულ გუნდს. მისი ხელმძღვანელობით, რუსეთის ნაკრებმა 1994 და 1998 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიგო, აგრეთვე ბრინჯაო 1997 წლის ევრობასკეტზე.



სერგეი ბელოვი

# კობი მოურჯულებელია




კობი და მიტჩ კუპჩაკი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა** აღიარა, რომ 1996 წლიდან მოყოლებული, ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ შეძლო უშუალოდ თამაშების დროს **კობი ბრაიანტის** მართვა.

*"ისეთი მოთამაშის მართვა, როგორიც არის კობი, შეუძლებელია. დამიჯერეთ, ბოლო 18 წლის განმავლობაში ვერავინ შეძლო მისი შეცვლა. შეუძლებელია თამაშის დროს მისი ხელმძღვანელობა. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს ამჟამინდელ მწვრთნელ მაიკ დ'ენტონის – უკეთ გაიცნოს კობი და მიხვდეს, როგორ სჯობია მასთან ურთიერთობა. ვფიქრობ, ეს არის მაიკის ერთადერთი შანსი. ვერც ერთმა მწვრთნელმა, ვინც ჩვენთან 1996 წლიდან მუშაობდა, ვერ შეძლო კობისთან გამკლავება და ვერავინ შეძლებს ამას"*, - ამბობს კუპჩაკი "ლოს ანჯელეს თაიმსთან" კომენტარში.

ამასობაში, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მძიმე ტრავმის შემდეგ, რომელიც ბრაიანტმა გასული რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს მიიღო, „ლეიკერსის" ლიდერი პირველად გავიდა საკალათბურთო მოედანზე. კობი სროლებში ვარჯიშობდა და მსუბუქ გარბენებს ასრულებდა.

*„ის აგრძელებს პროგრესს. დღეს მას საერთო ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მაინც ნაყოფიერად იმუშავა"*, - ამბობს „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი მაიკ დ'ენტონი.

# ბრუკლინში უთანხმოებაა?

ამერიკული პრესა იტყობინება, რომ "ბრუკლინ ნეტსის" მთავარ მწვრთნელ **ჯეისონ კიდს**, რომელსაც ამ ამპლუაში დებიუტი ექნება ახალ სეზონში, გარკვეული უთანხმოება შეექმნა **კევინ გარნეტთან.**

დაახლოებით ორი თვის წინ, მწვრთნელმა ფორვარდს განუცხადა იმის შესახებ, რომ უნდა დაზოგოს რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას ვეტერანი კალათბურთელის ენერგია. კერძოდ, იმ შემთხვევებში, როცა "ნეტსს" ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი ექნება ჩასატარებელი, კიდი ერთ-ერთ შეხვედრაში მოედანზე არ შეუშვებს გარნეტს. თითქოს, სავსებით ლოგიკური ნაბიჯია, მაგრამ მან მოწონება ვერ პოვა კალათბურთელში.

*"მესმის, რისი თქმაც უნდა მას. ჯეისონს სურს დარწმუნდეს, რომ მე არ გავტყდები... მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩემთვის არაფრის თქმა საჭირო არ არის. ვფიქრობ, დავიმსახურე ის, რომ საკუთარი აზრი მქონდეს"*, - განაცხადა "მინესოტასა" და "ბოსტონის" ყოფილმა მოთამაშემ.




კიდი და გარნეტი



მარკ ჯექსონი

# მეომრები ციხეში იყვნენ

საინტერესო აქცია მოაწყო "გოლდენ სტეიტ უორიორზმა". ამ გუნდის კალათბურთელები და ხელმძღვანელობა სან კვენტინის ციხეს ესტუმრნენ, სადაც პატიმრებთან გამართეს საკალათბურთო შეხვედრა.

*"კალათბურთი არ არის ვიზიტის ერთადერთი მიზანი. ჩვენ ხომ შეგვიძლია ადამიანების ბედზე გავლენა ვიქონიოთ"*, - აღნიშნა "გოლდენ სტეიტის" მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ჯექსონმა,** რომელმაც ასევე მიიღო ამ მატჩში მონაწილეობა.

თამაშმა საკმაოდ საინტერესო ბრძოლაში წარიმართა და ბოლო მეოთხედის წინ, "უორიორზი" მხოლოდ ერთი ქულით იგებდა, თუმცა მოიპოვა საბოლოო გამარჯვება - 136:121.

*"არ შეიძლება ვიმსჯელოთ ადამიანებზე მანამ, სანამ მათ კარგად არ გავიცნობთ"*, - დაასკვნა "გოლდენ სტეიტის" გენერალურმა მენეჯერმა **ბობ მაიერსმა.** მან ამ მატჩში 40 ქულა და 20 მოხსნა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტოს ორიდან ორი აქვს



ვარლამოვი დღის ვარსკვლავი გახდა

რეგულარული ჩემპიონატის მეორე სათამაშო დღესაც სამი მატჩი გაიმართა და ზედიზედ მეორედ მოუწია ყინულზე გასვლამ „ტორონტოს“. კანადურმა კლუბმა შესანიშნავი სტარტი აიღო ახალ სეზონში - ზედიზედ მეორე გასვლითი შეხვედრა მოიგო. ამჯერად „ფილადელფიას“ მოუგო, არადა, „მონრეალის“ დამარცხებიდან მხოლოდ 22 საათი იყო გასული.

თუმცა ტორონტოელებს დაღლა არ ეტყობოდათ და თამაშის არც ერთ კომპონენტში არ ჩამორჩებოდნენ მეტოქეს. პირველი პერიოდის ბოლოს, „ფილადელფია“ **ბრეიდენ შენმა** დააწინაურა, რომელმაც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა, მაგრამ დარჩენილ ორ პერიოდში გოლებს მხოლოდ სტუმრები იტანდნენ.

მეორე 20-წუთეულში **ფილ კესელმა დიონ ფანოფის** დარტყმის შემდეგ დამატებაზე იმარჯვა, მესამე პერიოდში კი დუბლი შეასრულა **დეივ ბოლანდმა**, რომელმაც ჯერ ფეხებშუა გაუტარა შაიბა მეკარეს, მეორედ კი ცარიელ კუთხეში დაარტყა ზუსტად.

სწორედ „ტორონტოა“ ორი დღის შემდეგ რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი.

■ ■ ■

„დეტროიტს“ 2009 წლის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული „ბაფალოსთან“ და ეს სერია გუშინ გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ „რედ უინგზს“ აკლდა ტრავმირებული **დარენ ჰელმი, პატრიკ ივზი** და მეკარე **იონას გუსტაფსონი**, მან ძალიან დამაჯერებლად მოუგო „სეიბრზს“.

ყურადღება არ უნდა მივაქციოთ მოკრძალებულ ანგარიშს. სინამდვილეში, „დეტროიტი“ უდიდეს უპირატესობას ფლობდა და თუნდაც წაგებულ მესამე პერიოდში დარტყმების შეფარდება 16:5 იყო მასპინძლების სასარგებლოდ.

მატჩის ბედი პრაქტიკულად პირველი პერიოდის შუაში გადაწყდა, როცა 36-წამიანი ინტერვალით „დეტროიტმა“ ორჯერ აიღო **რაიან მილერის** კარი. გოლები **მიკაელ სამუელსონმა** და **პაველ დაციუკმა** გაიტანეს.

მეორე პერიოდში **დანიელ ქლირიმაც** გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირეს. მოგვიანებით კი დეტროიტელ **კორი ემერტონს** ბულიტის შესრულების უფლება მიეცა, მაგრამ მილერმა იყოჩაღა.

მესამე 20-წუთეულში „დეტროიტის“ მეკარე **ჯიმი ჰოვარდი** შაიბის გამოტანისას შეცდა და 19 წლის ლატვიელმა **ზემგუს გირგენსონსმა** NHL-ში დებიუტი გოლით აღნიშნა, მაგრამ მისმა გუნდმა დამარცხებულმა დატოვა მოედანი.

■ ■ ■

„კოლორადოსა“ და „ანაჰაიმის“ მატჩში შედგა ლეგენდარული მეკარის **პატრიკ რუას** სამწვრთნელო დებიუტი, რომელიც შთამბეჭდავი ტრიუმფით დასრულდა. „იხვებმა“ ვერაფერი დაუპირისპირეს „ეველანშის“ ახალგაზრდა ფორვარდებს - **ო'რაილის, დუშენს, მაკინონსა** და განსაკუთრებით, **მაკგინს**.

არადა, „ანაჰაიმი“ შეტევაში კარგად გამოიყურებოდა და დარტყმების რაოდენობით აჯობა მასპინძლებს - 36:29, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა „კოლორადოს“ მეკარე **სერგეი ვარლამოვი**, რომელმაც 35 დარტყმა მოიგერია და დღის პირველი ვარსკვლავი გახდა. მხოლოდ საფინალო სირენამდე შვიდი წამით ადრე, 0:6-ზე შეძლეს „იხვებმა“ ერთი საპასუხო შაიბის გატანა.

დენვერელთა გამარჯვება ოდნავ გააფერმკრთალა პატრიკ რუას გაძევებამ. დებიუტანტი მწვრთნელი ძალიან ემოციურად აპროტესტებდა მეტოქის უხეშობასა და ამ ყველაფერზე მსაჯების დუმილს.

**ფილადელფია-ტორონტო 1:3**

**1:0, 0:1, 0:2**

**გოლები:** 1:0 ბრეიდენი შენი-1 (ლეკავალიე-1, შტრაიტი-1), 1:1 კესელი-1 (ფანოფი-1), 1:2 ბოლანდი-1 (ლუპული-1, კულემინი-2), 1:3 ბოლანდი-2 (ლუპული-2, ფრენსონი-2).

**დეტროიტი-ბაფალო 2:1**

**2:0, 0:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 სამუელსონი-1 (ემერტონი-1, კრონვალი-1), 2:0 დაციუკი-1, 2:1 გირგენსონსი-1 (ფლინი-1).

**კოლორადო-ანაჰაიმი 6:1**

**1:0, 3:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 რ. ო'რაილი-1, 2:0 დაუნი-1 (რ. ო'რაილი-1, ტანგეი-1), 3:0 ჯ. მიტჩელი-1 (ბერი-1, მაკლეოდი-1), 4:0 მაკგინი-1 (მაკინონი-1, ტანგეი-2), 5:0 მაკგინი-2 (მაკინონი-2, პარენტო-1), 6:0 დუშენი-1 (დაუნი-1, ტანგეი-3), 6:1 სილფვერბერგი-1 (ბონინო-1, ფისტრიჩი-1).

ჩოგბურთი



# ლეგენდები დღევანდელებს აქებენ

"დიდი სლემის" 22-გზის ჩემპიონს, ლეგენდარულ გერმანელს **შტეფი გრაფს** მიაჩნია, რომ ამერიკელ **სერენა უილიამსს** შეუძლია მისი რეკორდის მოხსნა "სლემებზე" მოგებების რაოდენობით.

*"მას კიდევ დიდხანს შეუძლია თამაში და მოგება. თავისუფლად შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ის ყველა რეკორდს მოხსნის. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ დღეს ვერ ვხედავ მის სერიოზულ კონკურენტს, რომელსაც შეეძლება სერენას დაწევა",* - ამბობს გერმანელი ჩოგბურთელი.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის უმცროს ამერიკელს "დიდი სლემის" 17 ტურნირი აქვს მოგებული.

■ ■ ■

ამასობაში, ლეგენდარულმა ამერიკელმა **პიტ სამპრასმა** უპასუხა კითხვას - ვინ მიაჩნია ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ?

*"ჩემთვის ყოველთვის ცხადზე ცხადი იყო, რომ უდიადესი არის როჯერი. მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ თამაშობს დღეს რაფაელ ნადალი, ესპანელსაც შეუძლია ასეთ სტატუსზე პრეტენზიის გამოცხადება. მას ჯერ არ დაუმთავრებია მაღალ დონეზე თამაში და კიდევ არაერთი "სლემის" მოგება შეუძლია. მას დადებითი ბალანსი აქვს თანამედროვეობის ყველა ჩოგბურთელთან, მოუგია დევისის თასი, ოლიმპიური ოქრო... მაგრამ მხოლოდ ამ კუთხით არ უნდა შევხედოთ ამ საკითხს.*

*მე არ მიყვარს ამ საკითხის განხილვა. მიმაჩნია, რომ ყოველ თაობას ჰყავს თავისი გმირი. მაგრამ რომელი თაობა იყო საუკეთესო? ამის შესახებ მსჯელობა გაუთავებლად შეიძლება.*

*პირადად მე აღფრთოვანებული ვარ იმით, თუ რამდენი ხანი რჩებოდა როჯერი სტაბილურ უმაღლეს დონეზე. რაც შეეხება რაფას, ის, ეჭვგარეშეა, გამისწრებს "სლემების" რაოდენობით. საკითხი მხოლოდ იმაშია, შეძლებს თუ არა ის როჯერის რეკორდის გაუმჯობესებას",* - ამბობს სამპრასი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2014** | |
| **UNDER17** | |
| საბერძნეთი-ანდორა | 1:0 |
| ესტონეთი-სერბეთი | 1:4 |
| **ევროპის ლიგა** | |
| ყუბანი-ვალენსია | 0:2 |
| სუონსი-სტ. გალენი | 1:0 |
| ჩერნომორეცი-ეინდჰოვენი | 0:2 |
| ლუდოგორეცი-დინამო (ზ) | 3:0 |
| ელფსბორგი-სტანდარდი | 1:1 |
| ესბერგი-ზალცბურგი | 1:2 |
| რუბინი-ვარეგემი | 4:0 |
| უიგანი-მარიბორი | 3:1 |
| დნიპრო-ფიორენტინა | 1:2 |
| ფერეირა-პანდური | 1:1 |
| აპოელ-აინტრახტი | 0:3 |
| ბორდო-მაკაბი (თ-ა) | 1:2 |
| გენკი-თუნი | 2:1 |
| რაპიდი-დინამო (კ) | 2:2 |
| ლიბერეცი-ეშტორილი | 2:1 |
| სევილია-ფრაიბურგი | 2:0 |
| ლიონი-გიმარაეში | 1:1 |
| რიეკა-ბეტისი | 1:1 |
| ლეგია-აპოლონი | 0:1 |
| ტრაბზონი-ლაციო | 3:3 |
| ანჟი-ტოტენჰემი | 0:2 |
| ტრომსიო-შერიფი | 1:1 |
| შახტიორი (ყ)-მაკაბი (ჰ) | 2:2 |
| ალკმაარი-პაოკ | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰანოვერი II-ნოიმუნსტერი | 0:1 |
| ვიქტორია-მეპენი | 1:4 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრედერისია-ჰობრო | 3:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| **II რაუნდი** | |
| ფათიჰი-ქამიმფაშა | 2:3 |
| **ეკვადორი** | |
| უნ. კატოლიკა-დეპ. მაკარა | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ლ. რიტასი-ოლდენბურგი | 98:87 |
| ოსტენდე-ბანვითი | 82:80 |
| **გერმანია** | |
| ტელეკომი-ბავარია | 82:87 |
| ლუდვიგსბურგი-ბრემერჰავენი | 83:75 |
| ერტლანდი-ტიუბინგენი | 78:60 |
| ბრაუნშვაიგი-ულმი | 94:85 |
| ვიურცბურგი-ჰაგენი | 79:86 |
| ბაიროიტი-სკაილაინერსი | 74:67 |
| ტრირი-ფეხტა | 84:87 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ლევი | 3:0 |
| ადმირალი-სლოვანი | 3:1 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (რ) | 0:2 |
| სიბირი-ცსკა | 3:2 |
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 3:0 |
| ვიტიაზი-სევერსტალი | 3:1 |
| აკ ბარსი-სკა | 1:3 |
| დინამო (მ)-ლოკომოტივი | 1:3 |
| ტორპედო-ატლანტი | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ტონსბერგი | 5:1 |
| ვოლერენგა-რუსენბორგი | 5:1 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 5:2 |
| სტიორნენი-ლოპენსკოგი | 1:5 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ტაპარა | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| ლოზანა-დავოსი | 0:1 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 6:4 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ჰვ 71 | 6:3 |
| მოდო-ბრინასი | 3:4 (ბ) |
| ფრიოლუნდა-ორებრო | 0:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პეკინი** | |
| კუერი-ვავრინკა | 6:3, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-ვერდასკო | 7:5, 2:6, 6:2 |
| ტომიჩი-გასკე | 6:7, 4:6 |
| ფერერი-მატოშევიჩი | 5:7, 6:1, 6:2 |
| **ATP. ტოკიო** | |
| ლაჩკო-როჟე ვასელენი | 7:5, 6:4 |
| სებალიოსი-ალმაგრო | 4:6, 2:6 |
| შარდი-რაონიჩი | 4:6, 3:6 |
| ნიშიკორი-ფ. ლოპესი | 7:6, 6:0 |
| **WTA. პეკინი** | |
| იანკოვიჩი-სუარეს ნავარო | 6:0, 6:0 |
| ს. უილიამსი-კირილენკო | 7:5, 7:5 |
| საფაროვა-პეტკოვიჩი | 6:4, 6:7, 7:6 |
| ვინჩი-კერბერი | 2:6, 4:6 |
| ა. რადვანსკა-ჰერცოგი | 6:0, 6:2 |
| სტივენსი-ვოზნიაცკი | 3:6, 1:6 |

TV პროგრამა

**4 ოქტომბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სევილია-ფრაიბურგი.
**12:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტრაბზონი-ლაციო.
**14:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დნეპრი-ფიორენტინა.
**16:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სუონსი-სენტ გალენი.
**18:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ჰანოვერი-ჰერტა (LIVE).
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**01:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ტოკიო. იაპონია.
**18:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ჰამბურგი.
**20:00** ძიუდო. გრან პრი. ტაშკენტი. უზბეკეთი.
**22:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. მაიამი-მინესოტა.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**17:30** სპორტ-NEWS.
**18:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 15 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 11 | 12 | (წვიმა) |
| ბათუმი | 13 | 13 | (წვიმა) |
| ფოთი | 12 | 13 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 10 | 12 | (წვიმა) |
| გორი | 11 | 13 | (წვიმა) |
| თელავი | 11 | 13 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 15 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 5 | 8 | (თოვლჭყაპი) |
| ბორჯომი | 7 | 13 | (წვიმა) |
| მესტია | 0 | 3 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2622 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6629 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6981 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1763 |

სამთო თხილამურები

# რას აირჩევს ოლიმპიური ჩემპიონი?

გიგანტურ სლალომში ოლიმპიური ჩემპიონი, შვეიცარიელი **კარლო იანკა** არ არის მზად მსოფლიოს თასისთვის საბრძოლველად. *"მე ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მჭირდება იმისთვის, რომ ტედ ლიგეტისა და მარსელ ჰირშერის დონეზე გავიდე",* - ამბობს მსოფლიოს ჩემპიონი. ამის გამო, შვეიცარიელმა გადაწყვიტა უარი თქვას 27 ოქტომბერს, სეზონის პირველ ეტაპში გამოსვლაზე, რომელსაც ავსტრიის კურორტი ზიოლდენი უმასპინძლებს.

საინტერესოა, რომ ახალ სეზონში იანკა არ აპირებს თავის საყვარელ დისციპლინაში - გიგანტურ სლალომში პირველობისთვის ბრძოლას. სოჭის ოლიმპიური თამაშების წინ, მას სურს კონცენტრაცია ჩქაროსნულ დისციპლინებზე მოახდინოს.

არადა, იანკა ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადის ჩემპიონია სწორედ გიგანტურ სლალომში, თუმცა 2012-13 წლების სეზონში, ჯამში ამ სახეობაში მხოლოდ შვიდი ქულა დააგროვა. ამის გამო, ის მსოფლიოს თასის რეიტინგში საუკეთესო 30-ს მიღმა აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# 200-მილიონიანი კრივის მოლოდინში

როგორც ჩანს, საკრივო სამყაროში მორიგი სუპერბრძოლა იგეგმება. პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი **ფლოიდ მეივეზერი** ბრიტანეთის დაპყრობას აპირებს.

იტყობინებიან, რომ 36 წლის ამერიკელის გუნდი მოლაპარაკებებს აწარმოებს ბრიტანელი მოკრივის **ამირ ხანის** წარმომადგენლებთან. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ლაპარაკია მომავალი წლის მაისში შესაძლო ბრძოლის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ფლოიდმა ერთხელ უკვე განაცხადა - მომავალი ბრძოლის გამართვას 2014 წლის გაზაფხულზე ვაპირებო.

სხვადასხვა წყარო ამტკიცებს, რომ მეივეზერს ეს ბრძოლა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით აინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ ამ შეხვედრის ჩატარებაზე კონტრაქტი გაფორმდება, ორივე მოკრივეს ეს 200 მილიონ დოლარს მოუტანს. ასეთი ჰონორარი იმით არის განპირობებული, რომ ბრიტანული ტელევიზია ძალიანაა დაინტერესებული მსგავსი სუპერბრძოლის ჩატარებით.

ამ თანხის დიდ ნაწილს, რა თქმა უნდა, მეივეზერი მიიღებს, ხანი კი მხოლოდ ექვს მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ჯერჯერობით უცნობია, როდის დასრულდება მოლაპარაკებები მხარეებს შორის.

● კალათბურთი



ლამარ ოდომი

# ოდომი მამის დემონებმა დაღუპეს

NBA-ის ორგზის ჩემპიონმა **ლამარ ოდომმა** საკუთარი მამა დაადანაშაულა იმაში, რომ ის იყო თავისი ვაჟისთვის "ბოროტების საფუძველი", რამაც კალათბურთელი ცხოვრების იმ წესამდე მიიყვანა, რომელსაც ახლა ეწევა. თუმცა, პირველ რიგში, ის ამ ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებს. შეგახსენებთ, რომ კალათბურთელს ნარკოტიკებზე დამოკიდებულების პრობლემები აქვს და პერიოდულად აკითხავს სარეაბილიტაციო ცენტრს.

გასული სეზონი ფორვარდმა "ლოს ანჯელეს კლიპერსის" შემადგენლობაში გაატარა. კალიფორნიული კლუბი ოდომთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ სწორედ ნარკოტიკებთან პრობლემების გამო გადაიფიქრა ამის გაკეთება.

*"ის არ იყო ჩემ გვერდით, როცა ვიზრდებოდი. ის საკუთარი დემონების გამო იტანჯებოდა. მე დედამ და ბებიამ გამზარდეს, აგრეთვე ქუინსმა (ნიუ იორკის რაიონი).*

*ეს ადამიანი ჩემს ქორწილშიც არ იყო მიწვეული. ის არასოდეს დაჰკავშირებია დედაჩემსა და ჩემი ოჯახის სხვა წევრებს. როგორ შეუძლია ადამიანს, რომელსაც ჩემთვის არასოდეს დაურეკავს, საკუთარ შვილად მომიხსენიოს. ის არის ჩემი დაცემის მიზეზი. ერთადერთი, რაც მან გადმომცა, მისი დემონები იყვნენ"*, - დაწერა თავის "ტვიტერზე" ოდომმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44;** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608